ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## კიბერ დანაშაულის ჩადენისთვის სამ ბრალდებულს 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა



გვ.5



გვ.5

## კახეთში ქალმა დედა ცივი იარაღით მოკლა — შსს-მ დანაშაული ცხელ კვალზე გახსნა

ხუთშაბათი, 29 ივნისი, 2023 №126 (9162) ფასი: 80 თეთრი

# „ქართული ოცნება“ საქართველოს უმზადებს ხელახალ ოკუპაციას!“



გვ.2



პაატა მანჯგალაძე: „ახლა მიდის საზოგადოების დაშინება-დატერორება-დაუთოების პირველი ფაზა. შემდეგი ფაზა იქნება მედიაზე გადმოვლენ, პრესაზე გადმოვლენ“



გვ.3

ლევან ალაფიშვილი: „ახლა ყველაზე დიდი შეცდომა იქნება, ოპოზიციამ ძალადობას ძალდობით უპასუხოს და ამ პროცესში თავისი მომხრეები, ხალხი ჩართოს“

## „ოპოზიცია „ოცნებას“ თამაშში არ უნდა შეჰყვეს!“



გვ.3

ბექა დავითულიანი: „ზუსტად ვიცი, ძალიან დიდი სიძულვილით გვექახიან რუსს“

მიხეილ სააკაშვილი: „რა დროს საარჩევნო სიებში ადგილების გაყოფაა, ძალიან მიკვირს“



გვ.2

პაატა შამუგია: „შხამივით მოედო მთელს კულტურის სხეულს წულუკიანის მავნე პოლიტიკა“



გვ.3



გვ.4

„პუტინი და მისი გარემოცვა პრიგოჟინს მიბარებულ ქონებას ჩამოართმევენ“



გვ.4

„მე ვცემე მიშა მშვილდაძე“ — ვინ არის ნიკოლოზ გუგეშაშვილი, რომელიც დანაშაულს სოციალური ქსელით აღიარებს



გვ.5

ვახტანგ გომელაური უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს სტუმრობს

საქართველო ევროპის ჩემპიონატის

## მეოთხედფინალშია



გვ.7

5 „კანონიერი ქურდი“ დავით გერლიანი ისევ დააპატიმრეს

5 ნეკა დოროყაშვილი: „მე გამასამართლეს ნიკოლოზის მაგივრად და მას შეუქმნეს ყველანაირი კომფორტი“

6 იუვენტუსს დასჯიან, ოსასუნა დასაჯეს

6 უკრაინა თავისას იბრუნებს

1993230720223

# „ქართული ოცნება“ საქართველოს უმზადებს ხელახალ ოკუპაციას!“

## პაატა მანჯგალაძე: „ახლა მიდის საზოგადოების დაშინება-დატერორება-დაუთოების პირველი ფაზა. შემდეგი ფაზა იქნება მედიაზე გადმოვლენ, პრესაზე გადმოვლენ“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერი პაატა მანჯგლაძე პასუხობს.**



***– ბატონო პაატა, ბოლო პერიოდში გახშირებულ თავდასხმებთან დაკავშირებით, ვისმენთ შეფასებებს, რომ ხელისუფლება გადავიდა ძალადობაზე. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე? რამდენად არის ხელისუფლების მიერ წახალისებული და როგორ აფასებთ შექმნილ ვითარებას?***

– ზოგს ჰგონია, რომ ძალადობა არის ძალის გამოვლინება. მე ვერ დავეთანხმები ამას. ეს არის სისუსტის ნიშანი. როცა ხელისუფლება აგებს ინტელექტუალურ ბრძოლას, არ შეუძლია სიტყვის წინააღმდეგ არგუმენტაციით დაჯაბნოს მოწინააღმდეგე, გადადის ფიზიკურ ძალადობაზე. რატომ? მიაჩნია, ამის ლეგიტიმური გამოყენების უფლება მას აქვს. მე კი ვიტყვი, რომ არც მას არა აქვს ძალის გამოყენების უფლება და არც ხალხს. როცა წარმოადგენს მოქალაქე, რომ ხელისუფლება მას არ წარმოადგენს და არ გამოხატავს ხალხის ინტერესს, შეუძლია, შეცვალოს ხელისუფლება. ეს ჯერ კიდევ ჯეფერსონმა თქვა, როცა ამერიკის კონსტიტუციაზე მუშაობდა.

***– რის მიღწევას ცდილობს ხელისუფლება?***

– ჩვენთან ტიპური ავტოკრატიის ნიშნები მკვიდრდება ნელ-ნელა. ამის მთავარი ნიშანი რა არის? ხალხის ძალაუფლების ნაცვლად, უსიტყვო მორჩილება აქვთ ბიძინა ივანიშვილის, რომელიც არ ჩანს. ეს ახალი არ არის, ყველა ამაზე ლაპარაკობს და ამაშია მთავარი პრობლემა. მათ რომ პასუხისმგებლობა ჰქონდეთ ხალხის წინაშე, ასე არ მოიქცეოდნენ. ან ძალაუფლება სად არის შეზღუდული კონსტიტუციითა და კანონით. სასამართლოში მიხვალ? იქ მურუსიძეა, მურუსიძე ივანიშვილთან მიდის. აღმასრულებელ ხელისუფლებას შეხედავ, იქ ღარიბაშვილია და ისიც ივანიშვილთან მიდის. საკანონმდებლო ხელისუფლებაში მოხვალ, აქ კობახიძეა და ესეც ივანიშვილთან მიდის.

***– ანუ ყველა გზა ივანიშვილთან მიდის?***

– არაფორმალური მმართველობაა ქვეყანაში. ეს არის ძალიან ცუდი. ოპოზიცია რომ მოიგებს არჩევნებს და მე მეცოდინება, რომ ხალხმა ამირჩია, ვალდებული ვიქნები, ხალხის სამსახურში ვიყო და არა ვიღაცა ოლიგარქის და ვიღაცა ფულის ტომრის! მე თუ ფულის ტომარა მომიყვანს ხელისუფლებაში, მომიწევს, მას დავემორჩილო და მისი ინტერესი გავატარო. ეს უნდა გაიგოს ხალხმა, რომ „ქართულ ოცნებას“ დაავიწყდა მოქალაქეები, საერთოდ არ აინტერესებს ხალხი! მათთვის მთავარია, ხალხის ძარცვის უფლება რაც შეიძლება დიდხანს შეინარჩუნონ. ძარცვას რომ ვამბობ, ეს მე კი არ მოვიგონე. ყველა ტენდერი, ყველა შესყიდვა ხორციელდება „ქართული ოცნებისა“ და მათთან დაახლოებული ადამიანებით. სკოლების ტენდერი გამოცხადდა და მოიგო ზარქუას სიძემ, ფეხბურთელმა, რომელსაც არანაირი გამოცდილება არა აქვს სამშენებლო ბიზნესის წარმოების! პირდაპირ მოარგეს ტენდერი ზარქუას სიძეს. როგორც ხდება ხოლმე. ეს არის ზარქუას ინტერესი. თურმე ზარქუა ყოფილა ექსპერტი სკოლაში ლაბორატორიების აშენების. აი, ასეთი ხალხია ხელისუფლებაში!

როცა ვიღაც გამოდის, ლაპარაკობს პარლამენტში, მაგალითად, ალუდა ღუდუშაური, ის არავის წარმოადგენს, თავის თავსაც არ წარმოადგენს, ის წარმოადგენს გარკვეული ჯგუფის ინტერესს.

***– თუკი რუსეთუმეებს დაგვიძახებენ, პასუხსაც მიიღებენო. რას ნიშნავს ეს, ახალისებენ ძალადობრივ თავდასხმებს?***

– ამ ყველაფრის ორგანიზატორები არიან, არამარტო ახალისებენ. აქამდე არაფერი ყოფილა და არაფერი ხდებოდა. როგორ შეიძლება ბოლო ათი დღის განმავლობაში უცებ ამდენი თავდასხმა მოხდეს?! ზურა ჯაფარიძეზე თავდასხმა, მერე ბორჯომში სტუდენტებზე მივარდნა. დეოკუპაციის საკითხზე ჰქონდათ დისკუსია და მიუვარდა ვილაცა. საიდან უნდა გაეგო ჩვეულებრივ, რიგით ადამიანს რაზე მიდიოდა იქ დისკუსია?! შემდეგ ლევან ბერძენიშვილს დაესხნენ თავს, მერე უნივერსიტეტში სტუდენტებს მიუვარდნენ, რას ჰქვია, ირაკლი კობახიძეზე ცუდი თქვითო. ახლა, მიშა მშვილდაძე და ნაციონალური მოძრაობის სამეურვეო სამსახურის უფროსზე თავდასხმა. ეს შემთხვევითი არ არის! ეს არის ორგანიზებული!

> **„სკოლების ტენდერი გამოცხადდა და მოიგო ზარქუას სიძემ, ფეხბურთელმა, რომელსაც არანაირი გამოცდილება არა აქვს სამშენებლო ბიზნესის წარმოების! პირდაპირ მოარგეს ტენდერი ზარქუას სიძეს“**

***– ბატონო პაატა, რამდენად არის ეს რუსული პოლიტიკის ნაწილი და ვდგავართ თუ არა სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხის წინაშე?***

– რაც შეეხება რუსულ ნაწილს, ბევრი დოქტრინაა, სადაც ბოლოს რუსები ამბობენ, რომ ჩვენი მოკავშირე არის არა რომელიმე ხელისუფლება, არამედ მართვადი ქაოსი ჩვენს მეზობელ ქვეყნებში. რუსეთი ყოველთვის სარგებლობს სამოქალაქო დაპირისპირებით და ამის ინსპირაციაშიც ეხმარება „ქართული ოცნება“. მე ბევრი მოწოდება ვნახე, რომ ძალას უნდა ვუპასუხოთ ძალით, ასე უნდა ვქნათ, ისე უნდა ვქნათ. მე ვემხრობი პროტესტს, მაგრამ არა ძალადობრივ პროტესტს, რადგან ძალადობა ძალადობით არ აღმოიფხვრება. ამაში ზუსტად ვარ დარწმუნებული. მოთმინებით, ნებისყოფითა და გამძლეობით უნდა ვაჯობოთ რუსს. კობახიძე და ღუდუშაური არაფერს არ წარმოადგენენ ამ სიტუაციაში. აქ არის რუსეთის საოკუპაციო ძალების ოფიცრები. ესენი არიან მოგზავნილი ხალხი, რომლებიც ცდილობენ, დააშინონ ადამიანები, რათა სხვამ ვერ გაბედოს ხმის ამოღება. ახლა მიდის საზოგადოების დაშინება-დატერორება-დაუთოების პირველი ფაზა. შემდეგი ფაზა იქნება, მედიაზე, პრესაზე გადმოვლენ. ავტოკრატიისთვის დამახასიათებელი არის მასმედიისა და პრესის სრული კონტროლი, მონოპოლია, ცენზურა. აი, ამაზე გადმოვლენ ხალხის დაუთოების შემდეგ.



***– ბატონო პაატა, არის საპირწონე ძალა, რომელიც ამ ავტოკრატიულ რეჟიმს დაუპირისპირდება? ვხედავთ ოპოზიციაც როგორი დაქსაქსულია და ვერ თანხმდება ვერც ერთ საკითხზე.***

– დაქსაქსულობაში არ არის პრობლემა. „ქართულ ოცნებაში“ რომ განსხვავებული აზრი არ არის და ბრმად ემორჩილებიან ივანიშვილს, მონურად, მაგაშია პრობლემა. განსხვავებულ აზრში არანაირი პრობლემა არ არის. მე რასაც ვიცნობ ნებისმიერი ქვეყნის ისტორიებს, საზოგადოების კონსოლიდაციის, მონდომებისა და საზოგადოების ჩართულობის გარეშე, არცერთი ქვეყნის მაგალითი არ მახსენდება, რომ ვინმე ერთმა ადამიანმა, ან ერთმა პარტიამ გამოიყვანა ქვეყანა განსაცდელიდან. ასეთი არ არის. როდესაც ამაზე ვსაუბრობ, ეს ბევრს არ მოსწონს. არადა, სწორედ ხალხმა უნდა შეცვალოს ხელისუფლება, რაც გვჭირს ჩვენი ბრალია. არ მოსწონს ბევრს, როდესაც ამაზე მივუთითებ, მაგრამ ყოველთვის ვიტყვი, საქართველო არის ყველას გადასარჩენი და არა რომელიმე პირის ან ერთი პარტიის.

***– რამ უნდა გადატეხოს ეს სიტუაცია? როდის აივსება ხალხის მოთმინების ფიალა?***

– ხალხი იმდენად დაიღალა ამ პოლიტიკური პროცესით, ვერ გაარჩია რა არის ნამდვილი და რა ტყუილი, მას ვერ წარმოუდგენია მასშტაბი იმ შეთქმულების, რასაც „ქართული ოცნება“ ხლართავს. რეალურად რომ დაინახავს ამ საფრთხეს, ალბათ მაშინ დაიწყებს მოქმედებას. ჩვენ ვეუბნებით, რომ მერე გვიან იქნება. აქ რუსებს რომ დავინახავთ, მერე მოგვინდება პროტესტი. რუსულ კანონზეც ზუსტად ასე ვაფრთხილებდით, თუმცა, ფიზიკურად რომ დაინახეს, კენჭი უყარეს, მერე გამოვიდნენ, მანამდე არავინ დაიჯერა. ხომ შეიძლება, არ ვრეაგირებდეთ და ჩვენ დავასწროთ. ეს ქვეყანა მიჰყავთ რუსულ ჭაობში. პირდაპირ გეუბნებით, საქართველოს უმზადებენ ხელახალ ოკუპაციას და ეს ხდება ქართველების ხელით! აი, ეს არის რეალობა.

***– სანქციებზე მიდის საუბარი და რა მოლოდინი გაქვთ, რამდენად სერიოზულია ეს საკითხი?***

– თუ ავიღებთ სტატისტიკას, ელექტრონულ საქონელზე, ორმაგი დანიშნულების ტვირთებზე, ჩიპებზე, ელექტრონულ მოწყობილობებზე მოთხოვნები გაზრდილია 400-500%-ით სომხეთისა და ყაზახეთის მიმართულებით, მე არ გამოვრიცხავ, რომ საქართველოს იყენებდნენ ამ სანქციების გვერდის ავლის მექანიზმად. არა პირდაპირ რუსეთში, არამედ ყაზახეთში და მერე ყაზახეთიდან რუსეთში გასატანად. ან სომხეთში და სომხეთიდან რუსეთში გასატანად. მესამე ქვეყნიდან, სადაც ხდება რუსეთში შედინება, ყველა ამ ქვეყნის სანქცირება მოხდება. ანუ რისკი დიდია. მე ვიტყვი მარტივს, მე საქართველოს სანქცირება არ მინდა. მინდა ის ხალხი დასანქცირდეს პერსონალურად, ვინც რუსეთს ეხმარება, რომ სიკვდილის მანქანამ ომისთვის საჭირო ჟანგბადი მიიღოს.

***– თუკი ქვეყანა დასანქცირდა, მაშინ აღარც უნდა ვიოცნებოთ კანდიდატის სტატუსზე?***

– ქვეყნის დასანქცირება იქნება ძალიან მძიმე ამბავი და ამის გამო პასუხი მოეთხოვება ხელისუფლებას! ჩვენს პარტნიორებს ყოველთვის ვეუბნებით, რომ საქართველომ და მისმა მოქალაქეებმა რა დააშავეს, მთავარი არიან ადამიანები, ვინც კორუფციისა და ფულის გამო ამას აკეთებენ. მათ იგივე პასუხი აქვთ, მაშინ რუსებმა რა დააშავეს პუტინის გამო? გვეუბნებიან და ჩვენ ამაზე პასუხი არ გვაქვს. იმათმა დააშავეს, რომ პუტინი ჰყავთ, ჩვენ კი ის დავაშავეთ, რომ პროპუტინისტური ხელისუფლება გვყავს. აი, ეს არის ჩვენი დანაშაული.

***– კანდიდატის სტატუსთან დაკავშირებით რა შანსები გვაქვს?***

– პირდაპირ გვითხრეს, რომ უკანა კარიდან ვერ შევიპარებით, მოლოდინი არის ცრუ. გვჭირდება სულ ოთხი რეფორმა – საარჩევნო რეფორმა, სასამართლო რეფორმა, ანტიკორუფციულ სააგენტოსთან დაკავშირებული რეფორმა და მედიასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა. აი, ეს ოთხი საკითხი უნდა მოგვარდეს, „ოცნებას“ კი ეს არ უნდა.

## მიხეილ სააკაშვილი: „რა დროს საარჩევნო სიებში ადგილების გაყოფაა, ძალიან მიკვირს“

– საქართველოში ძალაუფლება კრიმინალურ ჯგუფს აქვს ხელში ჩაგდებული, რომელიც აუცილებლად გადავა მასშტაბურ ძალადობაზე. ის, რაც გუშინ იხილეთ, მხოლოდ დასაწყისია, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებაშია ნათქვამი, რომელიც მის სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ ვრცელდება.



მიხეილ სააკაშვილი მოუწოდებს პოლიტიკოსებს, ნუ შეეშინდებათ.

ამასთან, სააკაშვილის თქმით, ახლა საარჩევნო სიებში ადგილის გაყოფის დრო არ არის და ძალიან უკვირს, ამას რომ უყურებს.

– მეგობრებო, რუსეთში არეულობისა და ძალადობის ბოლოჟამის ხანა დაიწყო და საქართველო, რომელიც ივანიშვილმა მეტწილად რუსეთის კლანად აქცია, ზუსტად ამ გზას დაადგა.

საქართველოში ძალაუფლება კრიმინალურ ჯგუფს აქვს ხელში ჩაგდებული, რომელიც აუცილებლად გადავა მასშტაბურ ძალადობაზე. ის, რაც გუშინ იხილეთ, მხოლოდ დასაწყისია. ახლა, მთავარია, არ შეგვეშინდეს!

მე ხომ არ შემეშინდა აქ ჩამოსვლა. თუმცა, ზუსტად ვიცოდი, რომ შეიძლება მოვეკალი. ნურც თქვენ შეგეშინდებათ. სამოქალაქო საზოგადოებამ და პოლიტიკოსებმა უნდა ისწავლონ თავის დაცვა!

რა დროს საარჩევნო სიებში ადგილების გაყოფაა – ძალიან მიკვირს, ამას რომ ვუყურებ.

წინ რუსეთისა და უკრაინის მოვლენების პარალელურად (განსაკუთრებით უკრაინის წარმატების პარალელურად), უმძიმესი პერიოდი გველოდება, რომლის გასავლელად კონსოლიდაცია და ახალი ელემენტების შემოტანა გვჭირდება, ისეთის, რაც წინა წლებში არ ყოფილა აქტუალური.

ჩვენ მათ მოგვპარეს მომავალი და ახლა უნდათ აწმყოს წართმევაც. უნდა ვუთხრათ ივანიშვილსა და მის პატრონებს რუსეთში, რომ ვერ მოგვერევით. ვერ „დაგვაჩმორებთ“, ჩვენ ბევრად მეტნი ვართ.

რუსეთი მარცხდება და ჩვენ აფხაზეთი გვაქვს გასათავისუფლებელი.

მე ჯერ კიდევ უკრაინის საბოლოო გათავისუფლებაში მაქვს მონაწილეობა მისაღები და შემდეგ სოხუმში ვაპირებ პიაცის აშენებას, – წერს სააკაშვილი.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – ხოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიცია „ოცნებას“ თამაშში არ უნდა შეჰყვეს!“

## ლევან ალაფიშვილი: „ახლა ყველაზე დიდი შეცდომა იქნება, ოპოზიციამ ძალადობას ძალდობით უპასუხოს და ამ პროცესში თავისი მომხრეები, ხალხი ჩართოს“

ნათია ხურცილავა

კონსტიტუციონალისტი ლევან ალაფიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

*— ბატონო ლევან, ბოლო დროს გახშირებულ ძალადობაზე, თავდასხმებზე ანრი ოხანაშვილი პროპორციულად ადეკვატურ პასუხზე საუბრობს. როგორ ფიქრობთ, წინასაარჩევნო კამპანია დაძაბულ რეჟიმში ჩაივლის?*

— დიახ, სამწუხაროდ. ძალიან ნაცნობია ეს ყველაფერი. არჩევნებიდან არჩევნებმადე სწორედ ამ რეჟიმში გვიწევს ცხოვრება. თუმცა, უნდა ვთქვა, რომ ცოტა ადრე დაიწყეს. აშკარაა, რომ ძალადობრივი წინასაარჩევნო კამპანია გველოდება. უკვე დაწყებულია მზადება არჩევნებისთვის, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. არავისთვის ახალი ამბავი არ არის, ძალადობა ძალადობას შობს.

თუ ადრე ძალადობა ადამიანებზე სახელმწიფოს სახელით ხდებოდა, 20 ივნისი და სხვა თარიღები სწორედ ამაზე მეტყველებს, ახლა ვხედავთ, რომ ძალადობა კერძო პირების სახელით ხდება. თითქოს, ეს პირები რაღაცას ვიღაცისგან იცავენ. თუმცა, გაურკვეველია, კონკრეტულად რას იცავენ და ვისგან იცავენ. ეს ძალიან საშიში ტენდენციაა. არადა, რეალურად ამ ყველაფრის უკან იმალება არჩევნები და წინასაარჩევნო სამზადისი, რომელიც უკვე დაწყებულია, თან ძალიან აგრესიულად. რეპრესიებითა და ძალადობით წარმართული წინასაარჩევნო კამპანიის ერთადერთი მიზანია, ძალაუფლების შენარჩუნება ყველაფრის ფასად.

ძალაუფლებით ტკბობა, საკუთარი მომავლის უზრუნველყოფა, ხელისუფლების არაფრით დათმობა შენი ვიწროპარტიული თუ მერკანტილური ინტერესების გამო, ძალიან საშიშ ფაზაში შეიძლება გადავიდეს. ეს ის არის, რაც ამ ქვეყანაში არაერთხელ გვინახავს. ასე ხდებოდა ყველა გარდამტეხი, მნიშვნელოვანი არჩევნების წინ. ამ ქვეყანას, ამ ქვეყნის მოქალაქეებს უწევდათ ბეწვის ხიდის გავლა და როგორც ჩანს, სწორედ იგივე ეტაპს გავდივართ ახლაც.

*— როდესაც ოპოზიციამ ხელისუფლებას რუსები უწოდა, რეაქცია ძალიან მძაფრი იყო. ირაკლი კობახიძემ, ამ ნაგავმა ხალხმა „პუტინისტი“ დამიძახოს და მე პასუხიც არ გავცეო? — იკითხა.*

— დიახ, რეაქცია ძალიან მძაფრია და იცით რატომ, ხვდებიან, რომ მოსკოვში ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა სრულიად ცალსახად ცხადყო, რომ პუტინის რეჟიმი დღეებს ითვლის. აწყობილი პოლიტიკა თავზე ემხობათ. აქამდე არ უწოდებდნენ რუსეთუმეებს, თუ რა ხდება, ახალი ამბავი ხომ არ არის, რომ ეს ხელისუფლება რუსულ ინტერესებს იცავს. აქამდე არ ჰქონდათ ასეთი მძაფრი რეაქცია, ახლა რატომ აქვთ?! იმიტომ, რომ რუსეთი და პუტინი ველარ იქნება ველარაფრის გარანტია.

როგორც ჩანს, ხვდებიან, რომ მათ მოუწევთ ძალაუფლების დათმობა, რომ მუდამ ვერ იქნებიან ხელისუფლებაში. მათი ხელისუფლებაში ყოფნის გარანტია უკვე ველარ იქნება პუტინი. ამას განიცდიან ასე მძაფრად. პუტინის კეთილგანწყობა ჩაიფუშა, რადგან მისი



ამბავი დამთავრებულია. ეს მხოლოდ დროის ამბავია.

სანქციების ჯგუფი სწავლობს ყველა დეტალს. თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში ვერავის ვერაფერს გამოაპარებენ. ამიტომ, როგორც ჩანს, აქაც აქვთ ასალელვებელი, რადგან, ალბათ, ვიღაცები თავიანთი ბიზნესების სასარგებლოდ, სანქციების გვერდის ავლით, ხელის მოთბობასაც ცდილობდნენ. ყველაფერთან ერთად ღელავენ პერსონალური კომფორტის, პერსონალური კეთილმოწყობის დაკარგვასაც. ამიტომაც გვაქვს ასეთი აგრესიული განცხადებები ხელისუფლების უმაღლესი პირების მხრიდან, რაც შემდეგ, ბუნებრივად, გადაიზრდება ხოლმე ფიზიკურ ანგარიშსწორებაში.

*— როგორი შეიძლება ამაზე ოპოზიციის პასუხი იყოს, ძალადობას თუ ძალადობით უპასუხებენ?*

— ეს ძალიან საშიში შეიძლება იყოს. ამიტომ, სჯობს ოპოზიციამ ძალადობას არ უპასუხოს. თუმცა, როგორი იყო წინა ხელისუფლების პირობებში ძალადობის გამოვლენის ფაქტები, კარგად გვახსოვს. ამიტომ გავიხსენე ყველა მნიშვნელოვანი არჩევნები, რომელიც სწორედ ძალადობით ხასიათდებოდა და რომელიც ყოველთვის ხელისუფლების უმაღლესი პირებიდან მოდიოდა. ამ ქვეყანაში ძალდობა, საბედნიეროდ, ხალხიდან არასდროს მოდის.

ახლა ყველაზე დიდი შეცდომა იქნება, ოპოზიციამ ძალადობას ძალდობით უპასუხოს და ამ პროცესში თავისი მომხრეები, ხალხი ჩართოს. ეს იქნება „ოცნების“ თამაში. თუ ამაზე წავლენ, მაშინ მართლაც საშიშ ფაზაში შეიძლება ეს ყველაფერი გადავიდეს. ერთადერთი ამოცანა უნდა იყოს, მშვიდად მივიდეთ არჩევნებამდე და საარჩევნო ურნასთან. დემოკრატიულმა არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი.

გასაგებია, რომ „ქართული ოცნების“ პარტიული დღის წესრიგი არის ძალადობაზე, ცემა-ტყეპაზე მოხდეს მთელი ყურადღების გადატანა, მაგრამ ოპოზიცია რისი ოპოზიციაა, თუ ამ თამაშში აჰყვა მმართველ ძალას და ვერ შეძლო საკუთარი დღის წესრიგის შექმნა. დიდი ეჭვი მაქვს, ამ ოპოზიციამ ეს შეძლოს, ამიტომ ხალხმა, საზოგადოებრივმა ჯგუფებმა, არასამთავრობო სექტორმა უნდა შეძლოს ამ ქვეყნის, მისი მოქალაქეების, ხალხის პრობლემები აქციოს მთავარ პრობლემად, რომ წინასაარჩევნოდ მთელი აქცენტი ამაზე იყოს.

# პაატა შამუგია: „შხამივით მოედო მთელს კულტურის სხეულს წულუკიანის მავნე პოლიტიკა“



— შხამივით მოედო მთელს კულტურის სხეულს წულუკიანის მავნე პოლიტიკა, პარლამენტისგან ვითხოვთ, დღის წესრიგში დააყენონ კულტურის თემა, — ამის შესახებ პოეტმა პაატა შამუგიამ ჟურნალისტებთან პარლამენტში დეპუტატებთან შეხვედრის დასრულების შემდეგ განაცხადა.

როგორც მან აღნიშნა, კულტურის სფეროში არსებულ პრობლემებზე ხმამაღლა საუბარი აუცილებელია.

— მწერლები იყვნენ ის ადამიანები, რომლებმაც კულტურის სამინისტროსგან მიიღეს დარტყმა და საგრძნობი იყო თავიდანვე, რომ ეს არ დამთავრდებოდა მწერლებით და გავრცელდებოდა ყველა სფეროზე. სწორედ ამ პროცესს ვადევნებთ თვალს, შხამივით მოედო მთელს კულტურის სხეულს წულუკიანის მავნე პოლიტიკა. პარლამენტისგან ვითხოვთ, დღის წესრიგში დააყენონ კულტურის თემა, ისაუბრონ ამ თემებსა და იმ ცენზურაზე, რომელიც ამ სფეროშია, ყველა სესიაზე, ყველა შეხვედრაზე. ვფიქრობ, ყველა გზა უნდა ვცადოთ, მათ შორის, საჯარო შეხვედრები, სხვა გზა, უბრალოდ, არ გვაქვს, — განაცხადა პაატა შამუგიამ.

ცნობისთვის, პარლამენტში ოპოზიციონერი დეპუტატები კულტურის სფეროს წარმომადგენლებს შეხვდნენ. ქართველ ხელოვანთა საინიციატივო ჯგუფი სფეროში არსებულ პრობლემებზე საუბრობს და ითხოვს, კულტურის კომიტეტზე მათთან და უფლებადამცველ ორგანიზაციებთან საჯარო შეხვედრა გაიმართოს. შესაბამისი წერილით ისინი კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ელისო ბოლქვაძეს და ადამიანის უფლებათა კომიტეტის თავმჯდომარე მიხეილ სარჯველაძეს მიმართავენ.

# ბექა დავითულიანი: „ზუსტად ვიცი, ძალიან დიდი სიძულვილით გვეძახიან რუსს“



— სიძულვილის ენა ნაწილობრივ ისედაც არის აკრძალული და ამ მხრივ, თუ დავხვეწთ მუშაობას, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ, „რუსის“ ძახილი შეურაცხმყოფელია – როგორც თვითონ შეურაცხგვყოფენ, ისე შეურაცხვყოფ ზუსტად, — ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ბექა დავითულიანმა განაცხადა.

მისივე თქმით, არ იცის „რუსის ძახილი“ სიძულვილის ენაა თუ არა, თუმცა, „რუსს“ სიძულვილით ეძახიან და ეს არ მოსწონს.

— მე ვიცი, რომ სიძულვილის ენა ევრორეკომენდაციებითაც არის აკრძალული. ნაწილობრივ, სიძულვილის ენა ისედაც არის აკრძალული და ამ მხრივ თუ დავხვეწთ მუშაობას, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ.

რაც შეეხება „რუსის“ ძახილს, „რუსი“ შეურაცხმყოფელი არის, თუმცა, სიძულვილის ენა არის თუ არა, ვერ გეტყვით. სიძულვილით რომ გვეძახიან, ზუსტად ვიცი, რამდენად არის სიძულვილის ენა, არ ვიცი. სიძულვილის ენაში ვინ რას ჩათვლის, მეორე საკითხია. ზუსტად ვიცი, ძალიან დიდი სიძულვილით გვეძახიან (რუსს), მეც ძალიან არ მომწონს, ამას რომ გვეძახიან. როგორც თვითონ შეურაცხგვყოფენ, ისე შეურაცხვყოფ ზუსტად, — განაცხადა დავითულიანმა.

ინფორმაციისთვის, საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, მარიამ ლაშხმა დღეს განაცხადა, რომ ირლანდიას აქვს კარგი პრაქტიკა, შეურაცხმყოფელი სიტყვების ჩამონათვალი, რომელიც არ უნდა გამოიყენონ პარლამენტის მუშაობისას და ირლანდიური გამოცდილება უნდა შეისწავლონ.

# ანდრია ჯაღმაიძე: „გავიხსენოთ სიუჟეტები პატრიარქის დაცინვითა და ქილიკით, ადვილად მივხვდებით, ვისი მიზეზით იზრდება დაპირისპირება“



საპატრიარქოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, დეკანოზი ანდრია ჯაღმაიძე ბოლოს გახშირებული ძალადობის შემთხვევებს ეხმაურება და ჟურნალისტებს აკრიტიკებს. მისი მტკიცებით, ზოგიერთი ჟურნალისტის მხრიდან გახშირდა მცდელობა, მომხდარ ინციდენტებზე, ცემის ფაქტებზე პასუხისმგებლობის ვექტორი საპატრიარქოსკენ მომართონ.

ჯაღმაიძის თქმით, რჩება შთაბეჭდილება, რომ „პროვოკაცია, ხშირ შემთხვევაში, წინასწარ იგეგმება, რათა შემდეგ, თუ ვინმე მის საპასუხოდ ძალას გამოიყენებს, კვლავ საპატრიარქოს წინააღმდეგ იქნეს მომართული მედიასაშუალებები“. მას, ბოლო 10 წლის განმავლობაში, ეკლესიისა და საპატრიარქოს შესახებ, მედიასაშუალებებით გავრცელებული, მისი შეფასებით, უარყოფითი და კრიტიკული მასალების სტატისტიკა მოჰყავს.

**გთავაზობთ განცხადებას სრულად:**

— ბოლო დროს ზოგიერთი ჟურნალისტის მხრიდან გახშირდა მცდელობა, უკანასკნელ პერიოდში მომხდარი ინციდენტების (ცემის ფაქტები) პასუხისმგებლობის ვექტორი საპატრიარქოსკენ მომართოს, რადგან, მათი თქმით, პატრიარქი ახსენეს ასეთი ინციდენტის დროს.

პირველ რიგში, გარკვევით ვაცხადებთ, რომ საპატრიარქოს არაერთგზის დაუყენებია საკითხი საზოგადოებაში პოლარიზაციის პრობლემის შესახებ. საპატრიარქოსა და სასულიერო პირების მიმართ გაჩაღებული აგრესიული კამპანიის ფონზე ჩვენ კარგად გვესმის, რა დიდი მოთმინებაა საჭირო, რომ აგრესიითვე არ უპასუხოს ადამიანმა შეურაცხმყოფლებს და რეალურად ვიფიქროთ, როგორ დაიძლიოს ეს უარყოფითი მუხტი.

ვთხოვთ ყველას, უბრალოდ გავიხსენოთ სატელევიზიო სიუჟეტები, მათი გააფთრებული (არ მოვერიდები ამ სიტყვის გამოყენებას) საჯარო გამოსვლები მიტინგებსა და აქციებზე, ინტერვიუები, რომლებიც აღსავსე იყო სასულიერო პირების, მათ შორის, პატრიარქის დაცინვითა და ქილიკით, შეურაცხყოფით, ძალადობისაკენ მოწოდებით.

ამ დროს კი საპატრიარქოს მხრიდან მსგავსს ვერაფერს აღმოვაჩენთ, ისევე, როგორც ზოგიერთი მედიასაშუალების ეთერში ვერ აღმოვაჩენთ საზოგადოების შერიგებისთვის გადადგმულ ნაბიჯს. ამ ქმედებებიდან და დამოკიდებულებიდან ადვილად მივხვდებით, ვისი მიზეზით იზრდება დაპირისპირება, შუღლი და შეურაცხყოფა საზოგადოებაში.

რა თქმა უნდა, აღსანიშნავია, რომ ძალადობა არ არის ქრისტიანული საქციელი და ეკლესიის ძალისხმევა და მოწოდება სწორედ მოყვასისადმი სიყვარულის ქადაგებაა.

რჩება შთაბეჭდილება, რომ პროვოკაცია, ხშირ შემთხვევაში, წინასწარ იგეგმება, რათა შემდეგ, თუ ვინმე მის საპასუხოდ ძალას გამოიყენებს, კვლავ საპატრიარქოს წინააღმდეგ იქნეს მომართული მედიასაშუალებები.

სიცხადისთვის აქვე მოვიყვანთ სტატისტიკას:

ბოლო ათი წლის განმავლობაში მედიასაშუალებებით გავრცელებული უარყოფითი და კრიტიკული მასალები მართლმადიდებელი ეკლესიისა და საპატრიარქოს შესახებ (წლები და რაოდენობა):

2012 – 782013 – 1362014 – 1462015 – 1432016 – 912017 – 2952018 – 3872019 – 11092020 – 8662021 – 10382022 – 286; ჯამში: 4557. ეს სტატისტიკა მრავლისმთქმელია. საზოგადოება ბრძენია და ის ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს.

# ირაკლი კობახიძე ოპოზიციაზე — „ამ მართლა ნაგავმა ხალხმა მე „პუტინისტი“ დამიძახოს და პასუხი არ გავცე?“

— ამ მართლა ნაგავმა ხალხმა მე „პუტინისტი“ დამიძახოს და პასუხი არ გავცე? ამას მეუბნებით? — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

მისივე თქმით, ხელისუფლების ინტერესია, ქვეყანაში მშვიდი გარემო იყოს, ოპოზიციის კი არა.

— ნებისმიერი ხელისუფლების სუბიექტური ინტერესია, რომ ქვეყანაში იყოს მშვიდი გარემო. ნებისმიერ არჩეულ ხელისუფლებას აინტერესებს, რომ 4 წლის განმავლობაში მშვიდად მართოს ქვეყანა. ესაა ჩვენი სუბიექტური ინტერესი. ვისი ინტერესია, რომ ეს სიმშვიდე არ დაუშვას? ეს არის, ბუნებრივია, ოპოზიცია, რადიკალური ოპოზიცია, რომელიც არჩევნების დღიდან მოყოლებული აღვივებს რადიკალიზმს. ეს არის მათი ინტერესი, ჩვენი ინტერესი სუბიექტურადაც არის, მშვიდად ვმართოთ ეს ქვეყანა. გამოდიან ვიღაც მართლა ნაგავი ხალხი და გეძახიან ხან რუსს, ხან „პუტინისტს“, ხან კორუმპირებულს. თვითონ კორუმპირებულები და ის ადამიანები, ვინც 20% ჩააბარეს რუსეთის ფედერაციას. პასუხი სჭირდება ამ ხალხს, ამ სამარცხვინო განცხადებებს. ამ მართლა ნაგავმა ხალხმა მე „პუტინისტი“ დამიძახოს და პასუხი არ გავცე? ამას მეუბნებით? კონკრეტულმა ელჩმა ამ ადამიანებს უთხრა, რომ ფიზიკური და ვერბალური ძალადობა არის სამოქალაქო აქტივიზმი, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

# „პუტინი და მისი გარემოცვა პრიგოჟინს მიბარებულ ქონებას ჩამოართმევენ“

## „პრიგოჟინს აფრიკაში წასვლის საშუალებას მისცემენ. იქ შეიძლება გაანადგურონ“

მარიამ მჭედლიშვილი



გამოითქმის პროგნოზები იმის შესახებ, რომ ბელარუსში დაბანაკებული კერძო სამხედრო კომპანია „ვაგნერის“ დამფუძნებელი და ჩავარდნილი ამბოხის ინიციატორი ევგენი პრიგოჟინი იქიდან კიევს შეუტევს. ზოგიერთი კომენტატორის აზრით, პრიგოჟინი ბელარუსიდან მოსკოვზე გაილაშქრებს.

უკრაინელი პოლიტოლოგის, ვიქტორ ნებოჟენკოს დასკვნით, ევგენი პრიგოჟინს მისცემენ საშუალებას, აფრიკაში წავიდეს. მანამდე მას ჩამოართმევენ მსუყე აქტივებს, რომლებიც მას პუტინმა და მისმა გარემოცვამ მიანდო. პოლიტოლოგი უკრაინულ მედიას ესაუბრა

**ვიქტორ ნებოჟენკო:**

– პრიგოჟინისთვის აუცილებელია ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკამდე მიღწევა. მას უზარმაზარი ინტერესები, ასევე საკუთარი ბუნკერები აქვს. პრიგოჟინს იმედი აქვს, რომ იქ იქნება მანამ, სანამ რუსეთში ახალი ხელისუფლება არ მოვა.

ის დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვამდე მივიდოდა, მოსკოვთან კი პირადად პუტინს დაელაპარაკებოდა და მოურიგდებოდა. ეგონა, ყველაფერი ამით დამთავრდებოდა, მაგრამ გეგმები ჩაეფუშა.

რამდენიმე დღის წინ პუტინი პასიურად გამოიყურებოდა, პრიგოჟინი – აქტიური ჩანდა. საბოლოოდ, გამოვიდა, რომ, უპირველეს ყოვლისა, დაზარალდა პრიგოჟინი, რომელმაც ბოლომდე ვერ მოამზადა ამბოხი.

ზარალი პუტინსაც მიადგა, იმიტომ, რომ ის თავს ღმერთად წარმოაჩენდა, თავი მოჰქონდა ყველაზე ძლიერ ადამიანად, რომლის გარეშეც რუსეთში არაფერი მოძრაობს.

პრიგოჟინმა, უნებლიედ, ძლიერ გაუფუჭა რეპუტაცია პუტინს, რომელთანაც აკავშირებს 15-წლიანი მეგობრობა და დიდი ეკონომიკური ინტერესები. ამის გამო პუტინს სხვა გამოსავალი არ დარჩა, პრიგოჟინის დაკავებისა და უფრო მეტად, განადგურების გარდა.

სავარაუდოდ, მას მისცემენ აფრიკაში წასვლის საშუალებას, შემდეგ კი იქ უეცრად რამე „დაემართება“.

პუტინმა და მისმა გარემოცვამ პრიგოჟინს მიანდეს დიდი ფინანსური რესურსები. სანამ მოკლავენ, პუტინის გარემოცვა მას ფულს ჩამოართმევს.

ალბათ, გსმენიათ, რომ მოსკოვში უკანასკნელი 3 წლის განმავლობაში დაიღუპა 45-მდე გავლენიანი ჩინოსანი და ბიზნესმენი. პრიგოჟინი მათ ბედს გაიზიარებს.

***– ამ პროცესში მაინცდამაინც ლუკაშენკო რატომ გამოვიდა მომლაპარაკებლად?***

– მინსკიდან უფრო ადვილია სხვაგან გაფრენა. ლუკაშენკო არანაირი მომლაპარაკებელი არაა. მას სთხოვეს მიეღო პრიგოჟინი, რათა ის შემდეგ იქიდან გამგზავრებულიყო.

***– ესე იგი, ლუკაშენკო პრიგოჟინს ბელარუსის ტერიტორიაზე საკუთარი მიზნებისთვის ვერ გამოიყენებს?***

– გამოყენება შეუძლია, მაგრამ ეს არ იქნება პირადად ლუკაშენკოს მიზნები. ლუკაშენკომ განაცხადა, რომ ქირაობს კერძო სამხედრო კომპანიას (მან „ვაგნერზე“ მიანიშნა) ბელარუსში ბირთვული რაკეტების დასაცავად. ეს სხვა არაფერია, თუ არა რუსეთის მხრიდან აშშ-სა და ევროპის დაშანტაჟება.

***– პრიგოჟინი ლუკაშენკოსაც ხომ არ დაიცავს?***

– არა. ის არც უკრაინას დაესხმება თავს.

***– აფრიკაში წასვლამდეც ხომ შეიძლება პრიგოჟინის განადგურება?***

– რასაკვირველია. მისი მოშორება უფრო ადრეც არის შესაძლებელი. მესმის თქვენი სურვილი. პრიგოჟინი დამნაშავეა უკრაინის მიმართ. მე მაინც მგონია, რომ მას აფრიკაში წასვლის პირობებს შეუქმნიან. პრიგოჟინზე გაფორმებულია უზარმაზარი ქონება, რომელიც პუტინს ეკუთვნის.

***– სანამ ამ ქონებას არ გადააფორმებენ, პრიგოჟინს უსაფრთხოების გარანტია აქვს?***

– რასაკვირველია.

***– ბუნტის ფაქტმა დაადასტურა, რომ რუსეთში ხელისუფლება სუსტია. როგორ შეიძლება განვითარდეს მოვლენები?***

– პუტინის გარემოცვა მისით უკმაყოფილოა, ვინაიდან მან ეს ადამიანები თავისი ომით უკრაინაში ჩიხში შეიყვანა. რომ იმარჯვებდეს, ეს მოვლენები არ იქნებოდა.

მათ (გარემოცვის წარმომადგენლებმა) არ იციან, როგორ შეაჩერონ ომი. ისინი უქმნიან პრობლემებს პუტინს.

პუტინი აღმოჩნდა კიდეც სიძნელეების წინაშე. პრიგოჟინი დარწმუნებული იყო, რომ მოსკოვამდე მივიდოდა, პუტინი კი მის მხარეს დადგებოდა. პუტინმა ეს არ გააკეთა და წააგო კიდეც.

***– რამდენ ხანს შეძლებს ხელისუფლებაში დარჩენას?***

– ეს საკითხი ვაშინგტონსა და პეკინში წყდება. როგორც კი გამოინახება მისი გაშვების გეგმა და მოიძებნება შემცვლელი, პუტინი მყისიერად გაქრება. მეორე პუტინი არავის უნდა. ყველას სურს კოლექტიური მმართველობა რუსეთში.

# სანქციების კოორდინატორი: „ჩვენი ჩამოსვლის მიზანი 38 დასახელების ელექტრომოწყობილობა იყო“




გაერთიანებული სამეფოს საგარეო, თანამეგობრობისა და განვითარების საქმეთა ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გენერალური დირექტორი, სანქციების ჯგუფის კოორდინატორი კუმარ აიერი აცხადებს, რომ თბილისში ვიზიტის მიზანი 38 დასახელების ელექტრომოწყობილობის სანქციების გვერდის ავლით შესაძლო ექსპორტზე საუბარი იყო:

– აქ კონკრეტული ჩვენი ჩამოსვლის მიზანი იყო ზუსტად 38 დასახელების ელექტროსაქონელი. ამაზე სასაუბროდ ჩვენ მხოლოდ საქართველოში არ ჩამოვსულვართ. საქართველოდან მივემგზავრებით სომხეთში და ჩვენი ერთობლივი ჯგუფი უკვე თითქმის 5-6 ქვეყანაშია ნამყოფი და კიდევ ბევრგან ვაპირებთ ჩასვლას ამ საკითხზე სასაუბროდ, – ამბობს ის.

შეგახსენებთ, სანქციების მთავარი კოორდინატორები უკვე 2 დღეა თბილისში არიან. მათ შეხვედრები გამართეს ხელისუფლების პირველ პირებთან.

# ობრაიენი: „ჩვენი მთავარი მიზანია, რომ რუსეთმა არ მიიღოს ის იარაღი, რითიც ახორციელებს ამ აგრესიულ ომს და კლავს ხალხს“

– ჩვენი მთავარი მიზანია, რომ რუსეთმა არ მიიღოს ის იარაღი, რითიც ახორციელებს ამ აგრესიულ ომს და კლავს ხალხს, – აცხადებს სანქციების კომისიის წარმომადგენელი აშშ-დან ჯიმ ობრაიენი მედიისთვის გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან შეხვედრების შემდეგ გამართეს და ჟურნალისტების შეკითხვებსაც უპასუხეს.

ობრაიენის თქმით, ამჟამად ინტერესის მთავარი სფერო ელექტრონული მოწყობილობებია:

– ჩვენი მთავარი მიზანია, რომ რუსეთმა არ მიიღოს ის იარაღი, რითიც ახორციელებს ამ აგრესიულ ომს და კლავს ხალხს და ჩვენ, როგორც აშშ, ასევე ბრიტანეთი და ევროკავშირი, ყურადღებას ამახილებს იმ ელექტრონული მოწყობილობების სახეობაზე, რაც გამოიყენება ამ მიზნებისთვის. ჩვენი თანამშრომლობა საქართველოსთან ზუსტად ამ მიმართულებით გულისხმობს ამ ტიპის ელექტრონული აღჭურვილობის თუ მოწყობილობების მიმართულებას, – ამბობს ჯიმ ობრაიენი, აშშ-ის წარმომადგენელი.

შეგახსენებთ, სანქციების მთავარი კოორდინატორები უკვე 2 დღეა თბილისში არიან. მათ შეხვედრები გამართეს ხელისუფლების პირველ პირებთან.

# დაჩი ბერაია შალვა პაპუაშვილს – „ხაბეიშვილი ხელების დამტვრევით დაგვემუქრა, ჩემი თხოვნაა, შეგვატყობინოთ, როცა ის პარლამენტის შენობაში შემოვა“




უმრავლესობის დეპუტატმა ირაკლი (დაჩი) ბერაიამ პარლამენტის თავმჯდომარეს შალვა პაპუაშვილს მიმართა, რომ ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის ლევან ხაბეიშვილის პარლამენტში მისვლის თაობაზე უმრავლესობის დეპუტატები გააფრთხილონ.

შესაბამისი განცხადება ბერაიამ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გააკეთა.

– ბატონო თავმჯდომარე, მინდა თხოვნით მოგმართოთ, ჩვენი ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე ხაბეიშვილი ხელების დამტვრევით დაგვემუქრა. ჯერ ერთი, თან ძალადობას გმობს და თან ხელების დამტვრევით რომ გვემუქრება, ეს როგორ ჯდება ერთმანეთში, არ ვიცი, თუმცა, ჩემი თხოვნა იქნება, ლევან ხაბეიშვილი დამუქრების შემდეგ ჯერ არ გამოჩენილა და იქნებ შეგვატყობინოთ, როცა ხაბეიშვილი პარლამენტის შენობაში შემოვა, რათა უკეთესად მოვემზადოთ, პრევენციული ღონისძიებები გავატაროთ, ხელებს გავუფრთხილდეთ და არ დავამტვრევინოთ მას, – განაცხადა ბერაიამ პარლამენტის სხდომაზე.

# „მე ვცემე მიშა მშვილდაძე“ – ვინ არის ნიკოლოზ გუგეშაშვილი, რომელიც დანაშაულს სოციალური ქსელით აღიარებს



მოქალაქე ნიკოლოზ გუგეშაშვილი სოციალურ ქსელში წერს, რომ „ფორმულას“ ერთ-ერთ დამფუძნებელს, მიშა მშვილდაძეს მან სცემა. მისივე მტკიცებით, დამალვას არსად აპირებს.

გუგეშაშვილს პოსტზე მონიშნული ჰყავს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

– მე ვარ ნიკოლოზ გუგეშაშვილი, გლდანელი კაცი, 4 შვილის მამა. გუშინ ვიყავი ვაჟა-ფშაველაზე, კარფურთან, სადაც ვცემე მიშა მშვილდაძე. ცემის მიზეზია ის, რომ ეკლესიას მოიხსენიებს კრიმინალად და იძახის, რომ ჯვარი არის ძალადობის სიმბოლო, აგინებს პატრიარქს, ქართველ ერს და იცავს მამათმავლებს, ასევე ფეისბუქით გვაგინებს მე და ჩემს მეგობრებს. ამიტომაც მოხვდა. არსად დამალვას არ ვაპირებ, – წერს ის.

მიშა მშვილდაძეს თავს 27 ივნისს დაესხნენ. ტელეწამყვანი ყვება, რომ ზურგიდან დაარტყეს, რის შემდეგაც კიბეზე დაეცა და ველარ დაინახა ერთი პირი ურტყამდა თუ რამდენიმე. მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოძიება ძალადობის მუხლით დაიწყო. მიშა მშვილდაძეს აღმოუჩინეს სამედიცინო დახმარება და ჩაუტარდა ექსპერტიზა.



# იაპონია და ევროკავშირი ეკონომიკური უსაფრთხოების ზომებზე შეთანხმდნენ

შედგა იაპონიისა და ევროკავშირის წარმომადგენელთა შეხვედრა. იაპონიას წარმოადგენდა ეკონომიკის მინისტრი ნესიმურა, ევროკავშირს ეკონომიკური კომისიის წარმომადგენელი დომბროვსკისი.

# რა უშლის ხელს ბახმუტის გათავისუფლებას?



ბახმუტისათვის ბრძოლები გრძელდება. უკრაინული არმია ნელა, მაგრამ მტკიცედ მიიწევს წინ. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პროცესები ბახმუტის მთლიანად გათავისუფლებას ხელს უშლიან.

– ბახმუტის დასაცავად თავის დროზე რიგი საინჟინრო ნაგებობები შეიქმნა. სწორედ მათი დახმარებით მოხერხდა თავის დროზე ქალაქის შენარჩუნება, – აცხადებს უკრაინის თავდაცვის მინისტრის მოადგილე ანა მალიარი.

შემდეგ მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ აღნიშნული საინჟინრო ნაგებობები ახლა რუსებმა დაიკავეს. მათი აღების გარეშე კი ბახმუტის გათავისუფლება ფერხდება.

# ფართომასშტაბიანი ბრძოლებია ზაპოროჟიეს ოლქში



უკრაინის დანარჩენ ტერიტორიაზე ბრძოლებია. ავდეევკისა და მარინკის გარდა ბრძოლებია დონეცკთან. უკრაინელებმა აქ რუსების ძლიერი დამცავი ზღუდეები გაარღვიეს. ოკუპანტები გარეკეს რიგი სტრატეგიული მნიშვნელობის დასახლებული პუნქტებიდან, რომლებიც დონეცკის მახლობლად მდებარეობდნენ.

ფართომასშტაბიანი ბრძოლებია ზაპოროჟიეს ოლქში, ხესონსჩინაზე. ყირიმში არ წყდება პარტიზანული აქციები.

ყირიმის ჰაულაიტერმა მოითხოვა პუტინისაგან მასიური რეპრესიების ჩატარება.

ოკუპანტების ასეთმა პოზიციამ მხოლოდ საბრძოლო მოქმედებების ესკალაცია გამოიწვია. შედეგად რუსების რიგებში გაიზარდა მსხვერპლი. მხოლოდ გასულ დღეს 1.000-მდე რუსი ჯარისკაცია მოკლული. სულ ომის დაწყებიდან დღემდე განადგურებულია 127.000 ოკუპანტი.

რუსი ოკუპანტები უკრაინის დაბომბვას განაგრძობენ. რუსებმა დაბომბეს ქალაქი კრამატორსკი. შედეგად, დაიღუპა 4 ადამიანი, 47 დაშავდა.

განხორციელდა სარაკეტო დარტყმები კრემენჩუგზე და პოლტავაზე. მსხვერპლის თაობაზე ინფორმაცია არ არის.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# „კანონიერი ქურდი" დავით გერლიანი ისევ დააპატიმრეს

20 ივნისს, რუსეთში ნაფიც-მსაჯულთა სასამართლომ ქართველი ე.წ. „კანონიერი ქურდი" დავით გერლიანი გაამართლა, რის საფუძველზეც მან სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა, თუმცა, „პრაიმტაიმის" ინფორმაციით, ის რამდენიმე საათში კვლავ დააკავეს და ამჯერად, საექსტრადაციო პატიმრობაში გადაიყვანეს.

რუსეთის უშიშროების სამსახური კრიმინალურ „ავტორიტეტს" ქვეყანაში არალეგალურად ყოფნას ედავება. 50 წლის დავით გერლიანის კრიმინალურ წრეებში „დათო სვანის" სახელით იცნობენ. ის რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს ტერიტორიაზე არაერთხელ არის დაკავებული და გასამართლებული.

ბოლოს გერლიანი ეგვიპტეში დააპატიმრეს და რუსეთს გადასცეს. საქართველოში დავით გერლიანის სახელი, კრიმინალურთან ერთად, პოლიტიკურ სკანდალსაც უკავშირდება, კერძოდ, 2016 წელს უკრაინის უშიშროების სამსახურმა ის ოდესაში დააპატიმრა და საქართველოში გამოაძევა.

გერლიანმა უკრაინული პასპორტითა და ჩაჩიბაიას გვარით უპრობლემოდ გაიარა თბილისის აეროპორტის სასაზღვრო გამშვები პუნქტი და მომდევნო სამი დღის განმავლობაში ალარავის უნახავს. მისი დაკავება შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ 2016 წლის 22 ივნისს, ოპერატიულ საგამოძიებო მოქმედებების შედეგად საქართველო-სომხეთის საზღვართან მოახერხა, საიდანაც გერლიანი ქვეყნის დატოვებას გეგმავდა. იმ დღეებში აქტიური განხილვის საგნად იქცა საკითხი, რატომ არ შეატყობინეს უკრაინელმა სამართალდამცავებმა ქართველ კოლეგებს „კანონიერი ქურდის" ექსტრადაციის შესახებ და რატომ ვერ მოახერხა შსს-მ გერლიანის დაკავება თბილისის საერთაშორისო აეროპორტში?



საქმე ის გახლავთ, რომ ორ ქვეყანას შორის არსებობს შესაბამისი შეთანხმებები, რომელიც უკრაინულ მხარეს ავალდებულებდა, დეპორტაციის შესახებ ინფორმაცია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის წინასწარ ეცნობებინა.

გაირკვა, რომ უკრაინულმა მხარემ ცალსახად დაარღვია ზემოხსენებული შეთანხმებები, ვინაიდან უკრაინის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის მონაცემებით, ქვეყნიდან განხორციელდა ე.წ. „კანონიერი ქურდის" დეპორტაცია, რომლის თაობაზეც ინფორმაცია რატომღაც ცნობილი გახდა არა ოფიციალური სტრუქტურებისთვის, არამედ ნაციონალური მოძრაობისთვის. მაშინ, ჯერ კიდევ ნაციონალური მოძრაობის წევრი გივი თარგამაძე ამტკიცებდა, რომ ქვეყანაში „ქართული ოცნების" ინტერესების სასარგებლოდ წინასაარჩევნოდ „კანონიერი ქურდების" უპრეცედენტო კონცენტრაცია ხდებოდა.

მაშინდელმა შს მინისტრმა გიორგი მღებრიშვილმა კი დავით გერლიანთან დაკავშირებული პროცესები „ოდესელების პროვოკაციად" შეაფასა.

შეგახსენებთ, რომ იმ პერიოდში მიხეილ სააკაშვილი ოდესის ოლქის გუბერნატორის თანამდებობას იკავებდა და რეგიონის ძალოვან უწყებებსაც საქართველოს ყოფილი მაღალჩინოსნები აკონტროლებდნენ. თავად დავით გერლიანი თავს პოლიტიკური თამაშების მსხვერპლად მიიჩნევდა.

მისი ადვოკატის თქმით, გერლიანი ოდესის ერთ-ერთი რესტორნიდან, ვანო მერაბიშვილის ყოფილი მოადგილის, გია ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით, სრულიად უკანონოდ მოიტაცეს და ასევე, უკანონოდ გამოამგზავრეს საქართველოში.

მოკლედ, საქართველო-სომხეთის საზღვარზე დაკავებული გერლიანი 2016 წლის 8 დეკემბერს, თბილისის საქალაქო სასამართლომ „კანონიერი ქურდობის" ბრალდების ნაწილში გაამართლა, ხოლო საზღვრის უკანონო კვეთის მცდელობაში დამნაშავედ ცნო და 6.500 ლარის ოდენობის ჯარიმა დააკისრა.

ამ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ დავით გერლიანი სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს. მან ქვეყანა მაშინვე დატოვა, თუმცა, ერთი წლის შემდეგ კვლავ ოდესაში დააკავეს.

# ვახტანგ გომელაური უნგრეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს დანაყოფებს სტუმრობს



საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ვახტანგ გომელაური დელეგაციასთან ერთად, უნგრეთში ოფიციალური სამუშაო ვიზიტით იმყოფება.

ოფიციალური სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა მინისტრი დელეგაციასთან ერთად უნგრეთის ეროვნულ პოლიციას ესტუმრა და დეტალური ინფორმაცია მიიღო საპოლიციო დანაყოფების საქმიანობის სპეციფიკის შესახებ. ვახტანგ გომელაურმა ასევე მოინახულა უნგრეთის ეროვნული პოლიციის სპეციალურ დავალებათა დანაყოფი, რომელიც სპეციალური ოპერაციების განხორციელებისას ადგილობრივი პოლიციის დახმარებას უზრუნველყოფს.

ვიზიტის ფარგლებში ვახტანგ გომელაური ეწვია უნგრეთის კონტრ-ტერორისტულ ცენტრს და დეტალურად გაეცნო ინფორმაციას ცენტრის საქმიანობის შესახებ.

გომელაური უნგრელ კოლეგას, შანდორ პინტერს, უკვე შეხვდა, რა დროსაც მხარეებმა სამართალდამცავ უწყებებს შორის არსებული ურთიერთთანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავების პერსპექტივებზე ისაუბრეს.

პირისპირ შეხვედრის დასრულების შემდეგ, ქართული დელეგაციის პატივსაცემად, ოფიციალური სადილი გაიმართა, სადაც სტუმრებს შანდორ პინტერმა უმასპინძლა. შინაგან საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი უნგრეთში დასრულდა.

# კახეთში ქალმა დედა ცივი იარაღით მოკლა – შსს-მ დანაშაული ცხელ კვალზე გახსნა



კახეთში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ გიორგიწმინდაში შვილმა დედა მოკლა.

ადგილობრივების ინფორმაციით, მკვლელობას წინ ურთიერთშელაპარაკება უძღოდა, რის შემდეგაც, შვილმა დედას სასიკვდილო ჭრილობები მუცლის არეში ცივი იარაღით მიაყენა.

მეზობლები ამტკიცებენ, რომ ქალს, რომელმაც, სავარაუდოდ, დედა მოკლა, ფსიქოლოგიური პრობლემები აქვს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს კახეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1977 წელს დაბადებული თ.ი. დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა ქალმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე დედას – 1946 წელს დაბადებულ ე.ქ.-ს ცივი იარაღით სასიკვდილო დაზიანება მიაყენა.

ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს.

პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი, დანა, ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ოჯახის წევრის მიმართ განზრახ მკვლელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 11 პრიმა 109-ე მუხლით მიმდინარეობს.

# ნეკა დოროყაშვილი: „მე გამასამართლეს ნიკოლოზის მაგივრად და მას შეუქმნეს ყველანაირი კომფორტი"

თბილისის სააპელაციო სასამართლოში ჩოგბურთელ ნიკოლოზ ბასილაშვილის მორიგი სასამართლო პროცესი გაიმართა.

სხდომაზე დაზარალებულმა ნეკა დოროყაშვილმა 2018 წელს, ნიუ-იორკში გადაღებული ვიდეომასალა წარადგინა, რის შემდეგაც ბრალდების მხარემ დასკვნითი სიტყვა წარმოთქვა.

საკუთარ მობილურ ტელეფონში არსებული ვიდეომასალა დოროყაშვილმა მოსამართლეს პირადად აჩვენა და თან ფაქტთან დაკავშირებით განმარტებებიც გააკეთა.

– დააკვირდით მოძრაობას, ნიკოლოზი მოემართება ჩემსკენ და ეძებს რაიმე ნივთს, რომ ჩამარტყას. დააკვირდით ხელის მოძრაობას... მომხვდა თავში, მეტკინა ძალიან, მართალია, სხვა დაზიანებებიც მქონდა ამ დროს მიღებული, აღვნიშნე, რომ ბოლო კადრებია, არ მქონია მოლოდინი, რომ იძალადებდა კიდეც ფიზიკურად, მე უბრალოდ ვფიქრობდი, ფსიქოლოგიურად გააგრძელებდა ძალადობას. მანამდე იყო იატაკზე თრევა.

ნიკოლოზი ნამდვილად ოთახში იმყოფება, ნამდვილად ვეუბნები, რატომ მირტყამო, ხმას არ მცემს და აგრძელებს ძალიან მშვიდად და წყნარად, არ მეწინააღმდეგება, არ მეუბნება, რას ამბობ, მე არ გირტყამო. საერთოდ, რად გვინდა ეს დისკუსია, როცა არსებობს ძალადობის კადრები, საერთოდ, რატომ დავდივარ აქ, რატომ დავდივარ ეს 4 წელია, გამაგებინეთ. მე გამასამართლეს ნიკოლოზის მაგივრად და ნიკოლოზს შეუქმნეს ყველანაირი კომფორტი. მე დავდივარ 5 წელია და ვამტკიცებ, როგორ დამარტყა ჩანთა, – განაცხადა დოროყაშვილმა სასამართლო პროცესზე.

სხდომას არ დასწრებია ნიკოლოზ ბასილაშვილი.

შემდეგ სხდომაზე, რომელიც 7 ივლისს, 11:00 საათზე ჩატარდება, დაცვის მხარე წარმოთქვამს დასკვნით სიტყვას.

ცნობისთვის, ნიკოლოზ ბასილაშვილი ყოფილი მეუღლის მიმართ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში ქვეყნის პირველმა ინსტანციის სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. აღნიშნული გადაწყვეტილება ბრალდების მხარემ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა. პროკურატურა ნიკოლოზ ბასილაშვილის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას ითხოვს.

რაც შეეხება დაცვის მხარეს, ადვოკატებს მოლოდინი აქვთ, რომ მეორე ინსტანციის სასამართლო განაჩენს უცვლელად დატოვებს.

# კიბერ დანაშაულის ჩადენისთვის სამ ბრალდებულს 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და კიბერ დანაშაულის ჩადენისთვის ბრალდებული სამი პირი დამნაშავედ ცნო.

პროკურატურის ცნობით, სასამართლო პროცესზე დადასტურდა, რომ 2021 წელს 8 მაისს, ბრალდებულებმა უკანონოდ შეაღწიეს დაზარალებულის ინტერნეტბანკში და ანგარიშზე არსებული 97.808 ლარი ერთ-ერთი ბრალდებულის კუთვნილ, „საქართველოს ბანკის" ანგარიშზე გადარიცხეს. შემდეგ კი თანხა ანგარიშიდან გაიტანეს და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს.



სამართალდამცველებმა ბრალდებულები 2022 წლის 25 ოქტომბერს დააკავეს. მათ ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა" და მეოთხე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტებით (ქურდობა, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით) და 284-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტით (კომპიუტერულ სისტემაში უნებართვო შეღწევა, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ფინანსური ზიანი გამოიწვია) წარედგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლომ სამივე ბრალდებული სრულად ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და სასჯელის სახედ და ზომად თითოეულს 6-6 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

საქართველოს პროკურატურა მოუწოდებს მოქალაქეებს მათ მიმართ განხორციელებული ანალოგიური ქმედების არსებობის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართონ სამართალდამცავ ორგანოებს.

## კალეიდოსკოპი

### ტურისტებმა დათვის თავდასხმა ყვირილით მოიგერიეს



ტურისტების ჯგუფმა ყვირილით დააფრთხო დათვი, რომელიც მათზე თავდასხმას იმ დროს შეეცადა, როდესაც ისინი ამერიკის ალიასკას შტატში მდებარე ლეიკ-კლარკის ნაკრძალში ექსკურსიაზე იმყოფებოდნენ.

ესპანელი ტურისტების ჯგუფი მურა დათვებზე დასაკვირვებლად იმყოფებოდა. როდესაც ისინი ტბას მიუახლოვდნენ, იქ მყოფმა ერთ-ერთმა დათვმა მათზე თავდასხმა გადაწყვიტა.

ტურისტები გიდის, მარტინ ბოლანდის მიერ წინასწარ იყვნენ შემზადებულები მოვლენების ასეთი განვითარებისთვის. მან, რომელიც უკვე ცხრა წელია ტურისტების ექსკურსიითაა დაკავებული, ისინი გააფრთხილა, რომ მტაცებელი ცხოველის თავდასხმის შემთხვევაში, გაქცევა არ შეიძლება და ადგილზე უნდა დარჩნენ. ტურისტებმა მისი ეს რჩევა გაითვალისწინეს, შეჯგუფდნენ და ყვირილი ატეხეს.

ერთ-ერთი ტურისტის მიერ გადაღებულ ვიდეოზე ჩანს, თუ როგორ შეტრიალდა მათკენ გამოქანებული დათვი და გაეცალა, ისე, რომ მათთვის არაფერი დაუშავებია.

ბოლანდმა აღიარა, რომ მის პრაქტიკაში ეს პირველი შემთხვევა იყო, როდესაც მოზრდილმა ხვადმა დათვმა ადამიანებზე თავდასხმა სცადა და ივარაუდა, რომ ის ამ ადგილიდან არ იყო და ტბაზე ძუ დათვთან შესაჯვარებლად იყო მოსული და არც ისაა გამორიცხული, რომ ის მანამდე ადამიანებს არასდროს შეხვედრია.

### კაილი ჯენერმა შვილს სახელი შეუცვალა

ამერიკელმა მოდელმა და ბიზნესმენმა კაილი ჯენერმა თავის წლინახევრის შვილს სახელი ოფიციალურად შეუცვალა. ჯენერმა 22 ივნისს შეიტანა განცხადება თავისი წლინახევრის შვილისთვის სახელის იურიდიულად შესაცვლელად. სასამართლო საბუთების თანახმად, ბიჭს, რომელსაც ადრე ვულფ (მგელი) ჟაკი ერქვა, ეირი დაარქვეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მოდელმა ბავშვისთვის სახელის შეცვლა ადრე გადაწყვიტა და ამის შესახებ თავის თაყვანისმცემლებს სოციალურ ქსელში საკუთარ გვერდზე გაანდო.

– ჩვენ, უბრალოდ, ვერ აღვიქვამდით იმას, რომ ეს მისი სახელი იყო, – განაცხადა ჯენერმა და იქვე განმარტა, რომ სახელი ვულფი საერთოდ არ მიესადაგებოდა მის შვილს.

### ზვიგენი მეთევზეს თავს დაესხა და წყალში ჩაითრია

ამერიკის ფლორიდის შტატში მდებარე ევერგლეიდსის ეროვნულ პარკში ზვიგენი თავს დაესხა მამაკაცს, რომელიც თევზაობის დროს წყალში ხელებს იბანდა.

აღნიშნული ინციდენტი 23 ივნისს დილით მოხდა. მამაკაცი მდინარეში ხელებს მას შემდეგ იბანდა, რაც დაჭერილი თევზი უკანვე წყალში დააბრუნა. მოულოდნელად წყლის ზედაპირზე გამოჩნდა ზვიგენი, ის მეთევზეს თავს დაესხა, კბილებით ხელში ჩააფრინდა და ნავიდან წყალში გადაითრია.

ნავში მყოფი სხვა მეთევზეები ყვირილით მიცვივდნენ კოლეგის დასახმარებლად და მას ნავში დაბრუნებაში დაეხმარნენ. ამის შემდეგ სამაშველო სამსახური გამოიძახეს და ნაპირისკენ გაცურეს. იქ პარკის თანამშრომლებმა მამაკაცს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს, ხოლო მალევე ადგილზე მისულმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადამ დაშავებული შვეულმფრენით საავადმყოფოში გადაიყვანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# უკრაინა თავისას იბრუნებს



უკრაინული კონტრშეტევა დაიწყო. მართალია, ის, ჯერჯერობით, ფართომასშტაბიან ხასიათს არ ატარებს, მაგრამ წარმატებები სახეზეა. უკრაინელებმა გაათავისუფლეს მოზრდილი ტერიტორია დონბასში. დაიწყო იმ ტერიტორიის გათავისუფლება, რომელიც რუსეთმა 2014 წელს მიიტაცა.

წარმატებებია დონბასის სხვა ნაწილებშიც. საუბარია ფრონტის ყველაზე ცხელ უბნებზე: ბახმუტზე, ავდეევკაზე, მარინკაზე. აქაც გვაქვს უკრაინელთა წინსვლა, კერძოდ, ავდეევკასთან უკრაინელებმა რიგი სტრატეგიული დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მარინკასთან მიღწეულ წარმატებებს. აქ უკრაინელებმა მტრის შეტევები მოიგერიეს და 2-3 კმ-ით წინ წაიწიეს. შესაძლებელია, ეს არ იყოს ბევრი, მაგრამ იმ პირობებში, რაც მარინკასთანაა, ამას უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია.

გრძელდება ბრძოლები ბახმუტთანაც. უკრაინული არმია წინ მიიწევს. ფლანგებზე და უშუალოდ ქალაქ ბახმუტში ქუჩების დიდი ნაწილი გათავისუფლებულია. თუ სულ რაღაც ერთი თვის წინ მიმდინარეობდა დისკუსიები თემაზე, დაეცემა თუ არა ბახმუტი, ახლა ეს შეიცვალა. დღეს დასავლეთში უკვე იმაზე ბჭობენ, თუ როდის დატოვებენ რუსები ამ ქალაქს.

წარმატებებია ზაპოროჟიეს ოლქშიც. რუსები განდევნეს რიგი დასახლებული პუნქტებიდან. განსაკუთრებით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა რივნოპოლის აღებას. ამით გათავისუფლდა გზა ბერდიანსკზე. აზოვის ზღვისპირეთის გათავისუფლების პერსპექტივაც რეალური გახდა.

რაც შეეხება ხერსონსჩინას, აქაც სახეზეა წარმატებები. უკრაინულმა არმიამ ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირის გათავისუფლება დაიწყო.

ამრიგად, უკრაინამ დაკარგული ტერიტორიების დაბრუნება დაიწყო. აღსანიშნავია, რომ ეს ხდება მაშინ, როცა ფართომასშტაბიანი კონტრშეტევა ჯერ არ დაწყებულა. რუსებმა ამას ნაცადი მეთოდები დაუპირისპირეს. კვლავ დაიბომბა კრემენჩუგი, კიევი, ხმელნიცკი და სხვა ქალაქები. მიუხედავად ამისა, უკრაინელთა კონტრშეტევის შეჩერება ვერ მოხერხდა.

ამრიგად, რუსეთი კუთხეშია მიმწყვდეული. დასავლურ მედიაშიც გამოჩნდა ცნობები, რომ პუტინი ახალ პროვოკაციებს ამზადებს. საუბარია ზაპოროჟიეს ატომური ელექტროსადგურის აფეთქებაზე. თეთრი სახლის წარმომადგენელმა კირბიმ ეს უარყო.

# უნგრეთის პრემიერის მორიგი ანტიუკრაინული გამოხდომა

უნგრეთის პრემიერმა და რუსეთის გავლენის აგენტმა ორბანმა მორიგი პროპუტინისტური აქცია განახორციელა. მან განაცხადა, რომ უკრაინა თურმე სუვერენული ქვეყანა არ არის.

– უკრაინას არც ფული გააჩნია, არც იარაღი! ომი კი მხოლოდ იმიტომ ძალუძს, რომ დასავლეთი მხარს უჭერს, – თქვა ორბანმა.

შემდეგ პრემიერმა დაამატა, რომ რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის სამხედრო გადაჭრა არ არსებობს. აუცილებელია მშვიდობიანი მოლაპარაკებები. საამისოდ კი თურმე უკრაინა უნდა წავიდეს კომპრომისზე და რუსეთს თავისი ტერიტორიები დაუთმოს.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

# მაიმუნი 20 ადამიანს თავს დაესხა – მათ შორის 8 ბავშვია

## მის დასაჭერად დრონი გამოიყენეს



ინდოეთში ექსტრემალური სამსახურის თანამშრომლებმა მოახერხეს დაეჭირათ და გალიაში გამოემწყვდიათ მაიმუნი, რომელზეც 20 ადამიანზე თავდასხმის გამო ძებნა იყო გამოცხადებული.

ცხოველი ორი კვირის განმავლობაში ატერორებდა მოსახლეობას მადხია-პრადეშის შტატის ქალაქ რაჯგხარში. მისი თავდასხმების შედეგად დაზარალებულთა რიცხვში აღმოჩნდა რვა ბავშვი და რამდენიმე მოზრდილი ადამიანი. ჩვეულებრივ აგრესიული მაიმუნი სახლების სახურავებსა და ფანჯრების რაფებზე იჯდა, შემდეგ კი, მოულოდნელად, ზევიდან ახტებოდა გამვლელებს. მისი თავდასხმის შედეგად მრავალმა მათგანმა სერიოზული დაზიანებები მიიღო და სამედიცინო დახმარების აღმოჩენა დასჭირდათ.

ერთ-ერთი თავდასხმის დროს, რომელიც სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, ცხოველი თავს ხანდაზმულ მამაკაცს დაესხა, ძირს დააგდო და ბარძაყზე უკბინა. მაიმუნმა იმდენად მოაბეზრა თავი მოსახლეობას, რომ მის დასაჭერად ჯილდოს სახით 21 ათასი რუპია იქნა დაწესებული. ამის მიუხედავად, მისი დაჭერა ვერ ხერხდებოდა.

საბოლოოდ ქალაქის ჩინოსნებმა დახმარებისთვის ოლქის ხელისუფლებას მიმართეს, რის შემდეგაც ადგილზე ქალაქ უჯაინიდან სპეციალისტები ჩავიდნენ. მათ ოთხი საათი დასჭირდათ მაიმუნის დასაჭერად. ცხოველის მისაგნებად დრონი გამოიყენეს, შემდეგ ტრანკვილიზატორით დააძინეს და გალიაში მოათავსეს. ეს ყოველივე ადგილობრივმა მოსახლეობამ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნა.

# მანგუსტებმა თანამოძმე არწივისგან გადაარჩინეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში მანგუსტების გუნდი თავს დაესხა უზარმაზარ არწივს და მისი კლანჭებიდან თანამოძმე დაიხსნეს.



დიდი მტაცებელი ფრინველის და მანგუსტების დაპირისპირება Mjejane Game Reserve-ს ეროვნულ პარკში მოხდა. გიდის ანკი პიუზის თქმით, ის ტურისტების ჯგუფთან ერთად ველურ ბუნებას ათვალიერებდა, როდესაც შენიშნა, რომ არწივი მიწიდან არც ისე მაღლა, ბუჩქზე იჯდა და თვალის მოუშორებლად უყურებდა ბალახებით დაფარულ ადგილს. მოულოდნელად პიუზის მანგუსტების განგაშის მომასწავებელი ხმა შემოესმა.

– ჩვენ მხოლოდ მაშინ შევნიშნეთ მათი მომცრო აჩრდილები, რომლებიც ბალახებში მოძრაობდნენ. იმ წამსვე მივხვდი, რაშიც იყო საქმე, არწივი მათზე ნადირობდა, – განაცხადა გიდმა.

წამის შემდეგ არწივი დიდი სისწრაფით დაეშვა ბალახებისკენ, კლანჭები გამოაჩინა და ერთ-ერთი მანგუსტის დაჭერას შეეცადა. მტაცებელმა ცხოველის დაჭერა ვერ მოახერხა და მეორე ცდაზე წავიდა, მაგრამ ისევ წარუმატებლად.

– ერთი მამაცი მანგუსტი, რომელიც არწივის ქმედებით აშკარად უკმაყოფილო იყო, ბალახებიდან გამოიჭრა. ის უშიშრად მიეჭრა მტაცებელს, შეუტია და შეეცადა მისთვის თავზე ეკბინა. არწივმა მისი მოგერიება მოახერხა და მანგუსტი ჰაერშივე დაიჭირა, – იხსენებს პიუზი.

მტაცებელი ფრინველი შეეცადა ნადავლით გაფრენილიყო, მაგრამ ამ დროს მას მანგუსტების მთელი გუნდი დაესხა თავს თანამოძმის გადასარჩენად. ისინი არწივის გარშემო დახტოდნენ და მისთვის კბენას ცდილობდნენ. მტაცებელი იძულებული გახდა, ნადავლისთვის კლანჭები გაეშვა. ამის მიუხედავად, მანგუსტების გუნდი არწივის დევნას არ წყვეტდა. ისინი კუნძზე ძვრებოდნენ და იქიდან ახორციელებდნენ მასზე თავდასხმას. საბოლოოდ მათ მოახერხეს ის, რომ არწივი იძულებული გახდა, თავისთვის გაქცევით ეშველა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

2023, 29 ივნისი, №126

## სპორტი

# უმედლო დღე



მესამე ევროპულ თამაშებზე საქართველოს შვიდკაცა რაგბის ეროვნულმა ნაკრებმა გუნდმა გამოსვლა მე-7 ადგილით დაასრულა.

5-8 ადგილების ნახევარფინალი საქართველოს ნაკრებმა 5:21 წააგო ბელგიასთან, საღამოს მატჩში კი, 19:7 დაამარცხა იტალიის ნაკრები. ჩვენი გუნდიდან ლელოები ლაშა ლომიძემ, სერგი ჩხაიძემ და ანზორ სიჭინავამ გაიტანეს.

თამაშების გახსნის საზეიმო ცერემონიაზე საქართველოს გუნდის ერთ-ერთმა მედროშემ, მშვილდოსანმა ციკო ფუტკარაძემ ფლეი ოფის შეხვედრები გამართა. ციკო პირველად ისლანდიელ მარინ ანიტა ჰილმარსდოტირს დაუპირისპირდა და 7:3 გაიმარჯვა (28:20, 27:28, 28:25, 24:24, 27:26), მაგრამ მეთექვსმეტედფინალში გამოცდილ იტალიელთან, ამ დისციპლინაში ევროპის მეორე თამაშების გამარჯვებულ ტატიანა ანდრეოლისთან 4:6 დამარცხდა. მეტოქემ მხოლოდ მეოთხე სერიაში მოახერხა ანგარიშის გათანაბრება და შემდეგ გამარჯვებაც – 24:24, 28:26, 28:28, 22:28, 24:27.

ნოვი ტარგის დარბაზში, მოკრივეთა რინგზე დღეს ჩვენი გუნდის სამი წევრი ვიხილეთ. პირველად ესკერხან მადიევმა (71კგ) მერვედფინალური ორთაბრძოლა აზერბაიჯანელ სარხან ალიევთან გამართა და მსაჯთა გადაწყვეტილებით 2:3 დამარცხდა. შემდეგ ნიკოლოზ ბეგაძემ (92კგ) იბრძოლა. მისი მოწინააღმდეგე აზერბაიჯანელი იყო, მოჰამად აბდულაიევი. ამ შეხვედრაშიც მეტოქემ მეორე რაუნდში მოიგო.

ყველაზე ბოლოს რინგზე არტიუშ გომციანი (57კგ) ავიდა, რომელიც პოლონელ იაროსლავ ივანოვს შეხვდა. საქართველოს ნაკრების წევრმა მშვენივრად იჩხუბა და 4:1 გაიმარჯვა. გომციანი მეოთხედფინალში ესპანელ ხოსე კილეს ბროტონსის ეჩხუბება.

მოფარიკავეებმა პირადი პირველობები დაასრულეს. ვაჟებმა დაშნით, ხოლო გოგონებმა ხმლით მოფარიკავე ჩემპიონები გამოავლინეს. საქართველოს სახელით ტაურონის დარბაზში ოთხი სპორტსმენი ვიხილეთ. სამწუხაროდ, ყველა ნაადრევად გამოეთიშა მედლისთვის ბრძოლას: გიორგი ჯავახიშვილმა ჯგუფში ექვსიდან ორი პაექრობა მოიგო, ანზორ ალბრეხტმა კი ერთი. ორივე ფლეი ოფს მიღმა დარჩა.

გოგონებში ალექსანდრა კუვაევამ ჯგუფში ერთი მეტოქე დაამარცხა, ლიკა ჯიჯეიშვილმა ჯგუფში ორ მეტოქეს სძლია და მომდევნო ეტაპზე გავიდა, მაგრამ ასპარეზობა ფლეი ოფის პირველივე რაუნდში დაასრულა.

# იუვენტუსს დასჯიან, ოსასუნა დასაჯეს



იტალიური მედიის ცნობით, უეფა ტურინის იუვენტუსს ევროთასებიდან ერთწლიანი დისკვალიფიკაციით ემუქრება.

მიზეზი კლუბის ფინანსური დარღვევებია, რის გამოც იტალიაში უკვე დასაჯეს და გასულ სეზონში 10 ქულა დააკლეს, რის გამოც ჩემპიონთა ლიგის ნაცვლად მხოლოდ კონფერენს ლიგის საგზური ერგო.

როგორც ჩანს, ტურინელები კონფერენს ლიგის მომდევნო სეზონში ვერ იასპარეზებენ. არ გაგვიკვირდება, რომ იუვენტუსს ეს აწყობდეს, რადგან კონფერენს ლიგაში თამაში მათთვის მთლად სასიხარულოც არ იყო. თუმცა, ეს არ იქნება ერთადერთი სასჯელი – მოსალოდნელია ფინანსური სანქციაც. ტურინელები უეფასთან თავად თანამშრომლობენ და 1-წლიანი დისკვალიფიკაციაც ამას ეფუძნება, თორემ უფრო სერიოზული სანქციებიც იყო მოსალოდნელი.

სამაგიეროდ, გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომდევნო სეზონში კონფერენს ლიგაში პამპლონას ოსასუნა ვერ ითამაშებს.

უეფამ ესპანური გუნდი 2013-14 წლების სეზონში ჩაწყობილი თამაშისა და ფინანსური დარღვევების გამო მოკვეთა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 10 წელი გავიდა, უეფამ პამპლონელთა დასჯა მაინც გადაწყვიტა.

ოსასუნა გადაწყვეტილებას გაასაჩივრებს. კლუბის განცხადებაში ერთი წინადადება განსაკუთრებით დიდ ყურადღებაც იქცევს – უეფა ძლიერია სუსტებთან და სუსტი ძლიერებთან.

იმ შემთხვევაში, თუ უეფამ გადაწყვეტილება ძალაში დატოვა, კონფერენს ლიგაში ოსასუნას ბილბაო ჩაანაცვლებს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## კალეიდოსკოპი

# მოდელი დუნდულებში ჩადგმული იმპლანტების გამო დაჯდომას ვერ ახერხებდა



ჩინელი მოდელი, რომელიც AsianBarbieDDoll-ის სახელითაა ცნობილი, ამბობს, რომ მთელი თვე დაჯდომას ვერ ახერხებდა დუნდულებში ჩადგმული მოზრდილი იმპლანტების გამო.

მოდელის თქმით, საერთო ჯამში, მას სამი წლის განმავლობაში დუნდულებზე ოთხი ოპერაციის გადატანა მოუხდა. მოდელის აღიარებით, ეს ყველაზე მტკივნეული ოპერაციები იყო მათ შორის, რომლებიც მას ოდესმე გადაუტანია. ამავე დროს მან აღნიშნა, რომ მიღებული საბოლოო შედეგი ამად ღირდა.

იმპლანტის სიმაღლე რვა სანტიმეტრს შეადგენს, რაც სამჯერ აღემატება ჩვეულებრივ იმპლანტს, ხოლო ყოველი მათგანის წონა ერთ კილოგრამს აღწევს.

– საკუთარი სხეულის შეცვლა ჯერ კიდევ 2018 წელს დავიწყე, როდესაც პირველად გავიდიდე მკერდი და მას შემდეგ აღარ გავჩერებულვარ... საკუთარ თავს გამოწვევას ვუწყობ, რათა ყველაზე ლამაზი და სექსუალური გოგონა ვიყო, – განაცხადა მოდელმა.

ამჟამად გოგონა აშშ-ში ცხოვრობს. შეკითხვაზე, თუ რატომ გადაწყვიტა ასე საკუთარი სხეულის შეცვლა, მან უპასუხა, რომ სურს ბარბის დაემსგავსოს.

# მავნე ჩვევამ მამაკაცს ლატარიაში მოგება მოუტანა



აშშ-ის მცხოვრებმა გერი ლაკიმ მაღაზიასთან ხანმოკლე შეჩერების დროს ლატარიის ბილეთი იყიდა და გამდიდრდა.

მამაკაცმა არკანზასის შტატის ქალაქ პაინ-ბალაფიში მაღაზიაში სიგარეტის საყიდლად შეიარა და გადაწყვიტა, პოუვერბოლის ლატარიის ბილეთიც შეეძინა. მან იქვე შეამოწმა ბილეთი, რის შემდეგაც ეკრანზე გამოჩნდა მოწონების ნიშანი.

– ამის შემდეგ გადავწყვიტე, ბილეთი გამყიდველისთვის მიმეცა შესამოწმებლად. როდესაც ზარის რეკვის და სიგნალების ხმა გავიგონე, მივხვდი, რომ სოლიდური თანხა მოვიგე, – განაცხადა იღბლიანმა ამერიკელმა.

მოწევის მავნე ჩვევამ გერი ლაკის 50 ათასი დოლარის მოგება მოუტანა. მან მოგების შესახებ მაშინვე თავის დას აცნობა. ლაკის თქმით, ის ყოველთვის ყიდულობდა ლატარიის ბილეთს, თუმცა აქამდე ერთ ან ორ დოლარზე მეტი არასოდეს მოუგია. ლატარიის გამარჯვებული მოგებული თანხის ნაწილის ეკლესიისთვის შეწირვას, ხოლო ნაწილის დების და ძმებისთვის განაწილებას აპირებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა


## განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან განმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# საქართველო ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში

**ნიდერლანდები-საქართველო 1:1**

**თბილისი. დინამო არენა**

0:1 დავითაშვილი (42), 1:1 ტეილორი (45)

**ნიდერლანდები:** ვერბრუგენი, ბურგერი (დალინგა 75), ვან ევაიკი (მანჰუფი 83), ვან ჰეკე, ვან დე ვენი, ჰარტმანი (მაატსენი 83), გრავენბერხი, ტეილორი, ეკელენკამპი (ტავსანი 75), სამერვილი, ბრობი

**საქართველო:** მამარდაშვილი, საზონოვი, გელაშვილი, კალანდაძე, გოჩოლეიშვილი, ლომინაძე (ლ.გზგნიძე 46), აზაროვი, მექვაბიშვილი, დავითაშვილი (ო.მამაგეიშვილი 90), წიტაიშვილი (ხვადაგიანი 58), გაგუა (გულიაშვილი 79)

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მეოთხედფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ჩვენმა გუნდმა ჯგუფური ეტაპის დასკვნით მატჩში ნიდერლანდებს ფრედ, 1:1 ეთამაშა და ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა.

პირველ ტაიმში ნიდერლანდები დიდ უპირატესობას ფლობდნენ, მომენტებიც მრავლად შეგვიქმნეს, მაგრამ ზურიკო დავითაშვილის ერთმა რეიდმა და ლამაზმა გოლმა რამაზ სვანაძის გუნდი კომფორტულ მდგომარეობაში ჩააყენა. თუმცა, ჩვენებმა ეს უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს და შესვენებაზე გასასვლელი სასტვენის წინ ტეილორმა ანგარიში გაგვითანაბრა – 1:1.

ნიდერლანდელებს ფრე არ აწყობდათ და მეორე ტაიმში მაგრად შემოგვიტიეს. ამასთან, პარალელურ მატჩში პორტუგალია ბელგიასთან დაწინაურდა. ეს ჩვენთვის კარგი იყო. თუმცა, ბელგიელებმა მალევე გაათანაბრეს და ჯგუფში სიტუცია კიდევ უფრო ჩახლართეს.

საქართველო თავს კარგად იცავდა, ნიდერლანდელთა შეტევებს ბოლომდე გაუძლო და სასურველი ანგარიში შეინარჩუნა. მეტიც, ბოლო წუთზე მოგებაც შეგვეძლო, როდესაც გოლის გასატანად მონდომებული მეტოქის მეკარეც კი ჩვენს საჯარიმოში იყო, გიორგი გოჩოლეიშვილი ბურთიანად კარისკენ დაიძრა და გიორგი გულიაშვილისთვის რომ გადაეწოდებინა, გაიტანდა კიდეც, მაგრამ შორიდან ცარიელ კარში დარტყმა ამჯობინა და კარს ააცილა. თუმცა, ეს უკვე არაფერს წყვეტდა, რადგან პარალელურ მატჩში ისეთი ანგარიში დაფიქსირდა, რომ ჩვენები მეოთხედფინალში წაგებითაც გადიოდნენ, მაგრამ მეორე ადგილით.

ჰო, ნიდერლანდებთან მატჩს 43.004 მაყურებელი დაესწრო, რითიც წინა ტურში საქართველო-ბელგიას დასწრების რეკორდი გაუმჯობესდა.

**ერვინ ვან დე ლოი:**

– თამაში კარგად დავიწყეთ და ბევრი მომენტიც შევქმენით. კიდევ რა უნდა გაკეთდეს ამ მეტოქის წინააღმდეგ გოლის გასატანად? და მაინც, ტაიმის ბოლოს გაგვიტანეს და 1:0-ს ვაგებდით. ეს მატჩი არაფრით განსხვავდებოდა იმისგან, რაც პორტუგალიასთან დაგვემართა...



ჩვენ თავად ვერ გავიტანეთ, ცუდი დაცვის გამო კი ძალიან იოლად გავუშვით. მაგრამ რა უნდა ვთქვათ, როდესაც სამ თამაშში მხოლოდ 2 გოლი გავიტანეთ...

ასეთი დაბალი შედეგიანობა ევროპის ჩემპიონატზე საკმარისი არ არის. ვფიქრობ, ეს არის ევროპის ჩემპიონატზე ჩვენი წარუმატებლად გამოსვლის მთავარი მიზეზი...

მატჩის მიწურულს დრო საქართველოს სასარგებლოდ თამაშობდა. ჩვენი ამოცანა უფრო და უფრო რთულდებოდა. დაცვაში კარგად თამაშობდნენ და შემდეგ უფრო რთული გახდა მათ კართან შეღწევა...

ვიბრძოდით და ბოლო ამოსუნთქვამდე ვცდილობდით თამაშის გადარჩენას, მაგრამ არ გამოგვივიდა. სამწუხაროა ეს შედეგი, რადგან აქ ევროპის ჩემპიონატის მოსაგებად ჩამოვედით...

ახალგაზრდულ ნაკრებში ჩემი ხუთწლიანი საქმიანობა მტკივნეულად დასრულდა. ახლა რთულია მუშაობის დადებითად შეფასება, მაგრამ ვფიქრობ, რომ შემიძლია კარგი განცდით გავიხედო უკან.

ევროპის ჩემპიონატზე ორჯერ გავედით და ნიდერლანდების ახალგაზრდული ნაკრები ისეთი გუნდი გახდა, სადაც თამაში ყველას უხაროდა.

**რამაზ სვანაძე:**

– გილოცავთ ამ ისტორიულ შედეგს. პირველ ევროპის ჩემპიონატზე, მასპინძლის რანგში და ურთულეს ჯგუფში მოვახერხეთ მეოთხედფინალში პირველი ადგილით გასვლა. მადლობა ჩემს ფეხბურთელებს, ძალიან დიდი და მაგარი გუნდის პერსონალს და თითოეულ გულშემატკივარს. ისინი ჩვენი წარმატების ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყვნენ.

ურთულესი პირველი ტაიმი იყო. ძალიან ძლიერ გუნდს ვეთამაშებოდით. მიუხედავად იმისა, რომ ნიდერლანდელები მეოთხედფინალში ვერ გავიდნენ, ვთვლი, რომ ჩვენს ჯგუფში საუკეთესო გუნდი იყო. ეს მოედანზეც გამოჩნდა. შეხვედრაში თავი იჩინა ფიზიკურმა და ემოციურმა დაღლილობამ. მიუხედავად ამისა, ჩემმა ფეხბურთელებმა ყველაფერს გაუძლეს და სწორედ აქ გამოჩნდა ჩვენი მენტალური მხარე. ეს არის თაობა, რომელსაც ძალიან ბევრის მიღწევა შეუძლია და გულშემატკივარს უნდა ჰქონდეს ამ თაობის იმედი. ახლა ოთხი დღე გვაქვს ძალების აღსადგენად. ჩვენი უპირველესი მიზანი სწორედ ეს არის.

საერთო ჯამში, ვიმსახურებდით მეოთხედფინალში გასვლას. ურთულესი საქმეა ასეთ ჯგუფში პირველი ადგილით გახვიდე. შედეგი ლოგიკურია, ჩვენ ეს დავიმსახურეთ. ძალიან ლამაზი ისტორია დავწერეთ, მაგრამ არასდროს ვიხედებით უკან. ნებისმიერ მეტოქესთან გამარჯვებაზე ვითამაშებთ. ოლიმპიურ თამაშებზე მოხვედრა ოცნებაა და ყველაფერს გავაკეთებთ ამ საგზურის მოსაპოვებლად.

ამ თაობასთან თითქმის 5 წელია ვმუშაობ. ძალიან დიდი მოცულობის სამუშაო ჩატარდა, რომელიც ბევრ ასპექტს მოიცავდა. ახლა სწორედ ამ შრომის შედეგებს ვიმკით. მთავარი პრინციპი, რომლითაც 21 წლამდე და ასაკობრივ გუნდებში ვხელმძღვანელობთ, არის სამართლიანობა და ასე ვაპირებთ გაგრძელებას.

არ ვიცი, გავიდოდით თუ არა ჯგუფიდან, სხვა ქვეყანაში რომ ვთამაშობდეთ, რადგან გულშემატკივარს დიდი ძალა აქვს. ერთია, ამ გუნდთან დიდი ხანია ვმუშაობ, დიდი მოცულობის სამუშაო ჩატარდა. წლების განმავლობაში სელექციაზე დიდი სამუშაო გავწიეთ და ახლა ამის შედეგებს ვიმკით. ყველაზე მთავარი ის არის, რომ ეს სელექცია სამართლიანად ხდება, სამართლიანობაზე არის ყველაფერი დაშენებული. ასევე ვაპირებთ მუშაობის გაგრძელებას.

გვქონდა შეცდომებიც. განსაკუთრებით პირველ ტაიმში ძალიან ბევრი არასასურველი ბურთი დაიკარგა. ამ კუთხით ბევრს ვმუშაობთ, უბრალოდ ყველამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ვეთამაშებით ძალიან დიდ გუნდებს და ფეხბურთელებს, რომლებიც წლებია, ძალიან მაღალ დონეზე თამაშობენ. ის დონე, რაც საქართველოს ჩემპიონატში გვაქვს, ძალიან განსხვავდება იმისგან, სადაც ისინი თამაშობენ და ამასთან ადაპტირება კონკრეტულად ევროპის ჩემპიონატის მატჩებისთვის გვიწევს.

მეტოქეების სიძლიერიდან გამომდინარე, ხშირად გვიწევს თამაშის მსვლელობისას სქემის გადაწყობა, რადგან, როდესაც მაღალი დონის გუნდს ეთამაშები, ყოველთვის მოსალოდნელია სიურპრიზები. სადღაც მე-20 წუთიდან მათ რალაცები შეცვალეს. ამიტომ, ჩვენც მოგვიწია გადაწყობა. ყოველ შემთხვევაში, არ გვეტყობა, რომ გადაწყობის პრობლემა გვაქვს. რაც შეეხება ფორვარდის პრობლემას, გეთანხმებით, რომ ეს პრობლემა ყველა ასაკობრივ ნაკრებში არსებობს, ზოგადად, ეს პრობლემა დგას და იმედი მაქვს, რომ მალე გადაიჭრება.

ერთი დღე განტვირთვის გვექნება. შემდეგ ყველანი ერთად ჩ ჯგუფის მატჩებს ვუყურებთ. მომდევნო მეტოქეზე არ მიფიქრია და სიმართლე გითხრათ, სულერთია, რომელ გუნდს ვეთამაშებით, რადგან არ მგონია, ასეთი ჯგუფის მერე კიდევ ერთ გრანდთან თამაში პრობლემა იყოს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელად ზურიკო დავითაშვილი დასახელდა. დავითაშვილმა 4-ჯერ დაარტყა კარისკენ (2 ზუსტი), 6 დრიბლინგიდან წარმატებული 5 ჰქონდა. პასების 82% ზუსტი იყო, რაც შემტევი ფეხბურთელისთვის მაგარი შედეგია. ზურიკომ 11 ორთაბრძოლიდან 7 მოიგო, ნიდერლანდელები მის წინააღმდეგ 2-ჯერ დაჯარიმდნენ.

**დავითაშვილმა პრესკონფერენციაზე მოკლედ ისაუბრა:**

– ძალიან რთულ ჯგუფში მოგვიწია თამაში. ბევრს ვერ წარმოედგინა, რომ პირველ ადგილზე გავიდოდით. თუმცა, გვჯეროდა. მადლობა ყველას ასეთი გარემოსთვის. რთული პირველი ტაიმი იყო, მაგრამ ვიპოვეთ ძალები და გადავლახეთ სირთულეები. ახლა, ყველაფერი უნდა დავივიწყოთ და მეოთხედფინალში, ვინც არ უნდა იყოს ჩვენი მეტოქე, გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ.

ასეთი დონის ტურნირზე არანაირი განსხვავება არ არის ახალგაზრდულ და ეროვნულ ნაკრებში თამაშს შორის. როგორც ეროვნულ ნაკრებში აღნიშნავ გოლს, იგივე ემოციაა ახალგაზრდულ გუნდშიც. ბავშვობიდან ამ ბიჭებთან ერთად მოვდივარ, ეს ჩემი ოჯახია. მართალია, ბოლო წლებში გუნდთან ერთად არ ვყოფილვარ, მაგრამ ამ გზაზე ძალიან დიდი სამუშაო გასწიეს და სტადიონზე ეს ნათლად ჩანს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 3 | 1 | 2 | 0 | 5-3 | 5 |
| 2. პორტუგალია | 3 | 1 | 1 | 1 | 3-4 | 4 |
| 3. ნიდერლანდები | 3 | 0 | 3 | 0 | 2-2 | 3 |
| 4. ბელგია | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |

გეტყვით რომ, საქართველოს ნაკრების მეტოქე სხვა ჯგუფში გაირკვევა. სამი სავარაუდო მეტოქე გვყავს – ჩეხეთი, გერმანია და ისრაელი.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*



# უმცროსი ბორჯღალოსნები არგენტინასთან სათამაშოდ დაირაზმნენ

29 ივნისს არგენტინასთან გასამართი მატჩისთვის, უმცროსი ბორჯღალოსნების სამწვრთნელო შტაბმა 23-კაციანი შემადგენლობა დაასახელა.

შეგახსენებთ, მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის პირველ ტურში, საქართველო მასპინძელ სამხრეთ აფრიკასთან 23:33 დამარცხდა, ხოლო არგენტინამ კაცნაკლული იტალია 43:15 გაანადგურა და ბონუს-ქულაც აიღო.

პირველი მატჩის შემდეგ ჩვენი გუნდის სასტარტო შემადგენლობაში ოთხი ცვლილებაა – ერთი ხაზში და სამი შერკინებაში.

ფულბეკის პოზიციაზე გადაინაცვლა ნიკა ცირეკიძემ, რომელიც სამხრეთ აფრიკასთან ფრთაზე თამაშობდა და ლელოც გაიტანა. მის ნაცვლად ფრთაზე ლუკა ხორბალაძე დადგება, ვაჟა მიქაძემ კი მარქაფაში გადაინაცვლა.

ორი ცვლილებაა შერკინების პირველ ხაზში. ძირითადში დაწინაურდნენ კვაჭი ნიკა ბაბუნაშვილი და ბურჯი ირაკლი აფციაური. მეორე ხაზში გიორგი გერგედავა დაწინაურდა და ის გურამ ლანიაშვილს შეუწყვილდება.

სამი ახალი სახეა მარქაფაში. ბურჯად შეცვლაზე დავით მჭედლიშვილი შევა, შერკინების მესამე ხაზს ნიკოლოზ საყვარელიძე გააძლიერებს, ხოლო უკანა ხაზს – ნიკოლას რაგოევი.

**ლადო კილასონია:**

– ვეთამაშებით ძალიან კარგ გუნდს, არგენტინას, რომელმაც პირველი თამაში ბრწყინვალედ ჩაატარა. გააზრებული გვაქვს მეტოქის სიძლიერე და ის პასუხისმგებლობა, რომელიც გვაკისრია. შევეცდებით, ჩვენი თამაში კიდევ უფრო დავხვეწოთ და გავაუმჯობესოთ. ჩვენი მთავარი მიზანი იმ დეტალების გაუმჯობესება იქნება, რაც სამხრეთ აფრიკასთან პირველ ტაიმში ვერ შევასრულეთ. ეს დეტალები მთელმა გუნდმა გავიარეთ. ვთანხმდებით რა ასპექტებში უნდა ვიყოთ უკეთესები. არგენტინა ნებისმიერი გუნდისთვის უხერხული მეტოქეა – კარგი მწვრთნელებითა და შემსრულებლებით. ეს არის გუნდი, რომელმაც ზუსტად იცის, რა შეუძლია.

**საქართველოს ნაკრების შემადგენლობა:**

**ხაზი:** ლუკა ცირეკიძე, შალვა აფციაური, თორნიკე კახოიძე, გიორგი შველიძე, ლუკა ხორბალაძე, პეტრე ხუციშვილი, დავით ხუროშვილი;

**შერკინება:** გიორგი მამაიაშვილი, ნიკა ბაბუნაშვილი, ირაკლი აფციაური, გურამ ლანიაშვილი, გიორგი გერგედავა, რატი ზაზაძე, ლაშა ციხისთავი, ნიკა ლომიძე;

**მარქაფა:** ბასა ხონელიძე, ლაშა ფხაკაძე, დავით მჭედლიძე, თორნიკე ლანიაშვილი, ნიკოლოზ საყვარელიძე; ალექსანდრე ჯილაური, ნიკოლას რაგოევი, ვაჟა მიქაძე.

საქართველოსა და არგენტინის მატჩი სტელენბოშში, „დენი ქრეივენ სთედიუმზე" 18:30 საათზე დაიწყება.


# სამგლოვიარო განცხადებები

ვიზიარებ და თანავუგრძნობ მწუხარებაში დანელიების ოჯახს – მეუღლეს, ქალბატონ ნინელის, შვილებს როზასა და უშანგის, სიძეს გოჩა მზარელუას კეთილშობილი, ჰუმანური, გულისხმიერი, ბატონი

**რუბენ დანელიას**

გარდაცვალების გამო.

ნათელში ამყოფოს უფალმა!

*ახლობელი კუსუნა მზარელუა*

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**


## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 2. გერმანელი ფილოსოფოსი; 3. ჯაზის იმპროვიზაციული სტილი; 4. აეროპორტი ქაიროში; 6. სოფლის პოლიციის უროსი ძველად; 9. რომან „ელგუჯას" პერსონაჟი; 17. თევზის ქვირითისგან მომზადებული ძვირფასი საკვები პროდუქტი; 19. ბრიტანული მსუბუქი ავტომობილი; 21. სოფლის შარაგზა; 22. სამონასტრო კომპლექსი კახეთში.

**თარაზულად:** 5. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 7. პოლონელი გრაფი, დიპლომატი, კომპოზიტორი; 8. ერთი პროფესიის ხელოსანთა გაერთიანება ძველად საქართველოში; 10. საქართველოში გავრცელებული წითელყურძნიანი ვაზის ამერიკული ჯიში; 12. აფრიკული ცხოველი; 13. ისტორიული შადრევანი რომში; 14. ქართველი კომპოზიტორი ქალი; 18. სამონასტრო კომპლექსი საჩხერის რაიონში; 20. კურორტ იალტის ძველი სახელწოდება; 23. მთიანი ავტომაგისტრალის ქვეშ გაყვანილი წყალგამტარი მილი; 24. თანამედროვე ხელოვნების მუზეუმი ნიუ იორკში; 25. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 26. ყაჩაღის ძველი ქართული სახელწოდება; 27. უსაფუძვლო, განუხორციელებელი პროექტი, გეგმა.




*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ბაგრატი; 2. მენჩიკი; 3. პირსინგი; 4. ტუნისი; 5. ფერხული; 8. ბიბლისი; 9. მოწამეთა; 12. ბერნარდი; 13. ჭიშკარი; 16. გაგრიფში; 17. ძილქუში; 19. აღლუმი; 20. მექისე.

**თარაზულად:** 6. ჯარაექიმი; 7. კუბდარი; 8. ბესონი; 10. კაოლინი; 11. მუდო; 14. კვიპროსი; 15. ქრისტინე; 18. ხაიამი; 21. ღერღილი; 22. სელბი; 23. იანუსი; 24. ტიტესტერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ვეძისი; 2. კამიუ; 3. სტიაუა; 4. მეტეხი; 6. მატიანე; 9. წუნდა; 11. ბენიასა; 15. რესკრიპტი; 16. ჟიგოლო; 17. ნატამალი; 19. არაქისი; 21. რეგენტი; 22. ჩაჟაში.

**თარაზულად:** 5. სერენადა; 7. აპლომბი; 8. ატლასი; 10. სულგუნი; 12. ხიხვი; 13. უწერა; 14. ანდერსენი; 18. არიბა; 20. დინარი; 23. ყაურმა; 24. გემა; 25. მალამო; 26. შატო; 27. სტატუსი.

ახალი თაობა
Akhali Taoba
akhalitaoba.ge
29 ივნისი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6220 |
| ევრო | 2.8727 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.3326 |
| 100 რუსული რუბლი | 3.0596 |

**ამინდის პროგნოზი 29 ივნისისათვის**




ეროვნული ბიბლიოთეკა

## გიორგი მიქაუტაძე ლიგა 2-ის აღმოჩენად დაასახელეს



ფრანგული მეცის და საქართველოს ნაკრების ფორვარდი გიორგი მიქაუტაძე საფრანგეთის მეორე დივიზიონის აღმოჩენად დაასახელეს. ფორვარდმა 23 გოლისა და 8 საგოლე გადაცემის გაკეთება შეძლო, რაც შთამბეჭდავი შედეგია. მესმა შეძლო პირველ დივიზიონში დაბრუნება და ეს დიდწილად სწორედ მიქაუტაძის დამსახურებაა. მისი შეძენით ბევრი გუნდია დაინტერესებული, მათ შორის არის მანჩესტერ იუნაიტედიც.

## მანჩესტერ სიტიმ მატეო კოვაჩიჩი იყიდა



მანჩესტერ სიტიმ ახალი ფეხბურთელი დაიმატა და ეს ფეხბურთელი მატეო კოვაჩიჩია, რომელმაც გუნდთან 4-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. კოვაჩიჩი 4 წლის მანძილზე ჩელსის ღირსებას იცავდა, მანამდე კი „რეალის" და „ინტერის" ფეხბურთელი იყო. „სიტიმ" ამ ტრანსფერში 35 მილიონი ევრო გადაიხადა. კოვაჩიჩმა თქვა, რომ „სიტიში" თამაში მისთვის დიდი პატივია და ის შეეცდება, რომ ნდობა გაამართლოს.

## სადიო მანე ბაიერნის დატოვებას არ აპირებს



მიუნხენის ბაიერნის სენეგალელი ფორვარდი სადიო მანე გუნდის დატოვებას არ აპირებს და ჭორები მისი საუდის არაბეთში გადასვლასთან დაკავშირებით, სიმართლეს არ შეესაბამება. მანეს თქმით, მას სურს „ბაიერნში" თამაში და გუნდთან ერთად ტიტულებისთვის ბრძოლა. სადიოს „ბაიერნთან" 3-წლიანი კონტრაქტი აკავშირებს და მან ჯერ გუნდში მხოლოდ ერთი სეზონი გაატარა.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## სერგო კლდიაშვილის 130 წლის იუბილე ლიტერატურის მუზეუმში აღინიშნება



მწერალ სერგო კლდიაშვილის 130 წლის იუბილეს ლიტერატურის მუზეუმში სპეციალური გამოფენა მიეძღვნა.

ექსპოზიციაზე წარმოდგენილია მწერლის ფოტოები, ავტოგრაფები, მემორიალური ნივთები, სხვადასხვა მხატვრის შესრულებული გრაფიკული პორტრეტები, წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

გამოფენა ქრონოლოგიურად ასახავს მწერლის როგორც საოჯახო, ისე ლიტერატურულ ურთიერთობებს.

## ტერენტი გრანელის სახელობის ფესტივალს წალენჯიხა უმასპინძლებს



1 და 2 ივლისს, წალენჯიხაში, ლიტერატურული ფესტივალი „გრანელი" უკვე მეორედ გაიმართება.

საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ორდღიან ლიტერატურულ ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ პოეტები, მწერლები, გამომცემლობები.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## დანიის პრინცმა სახელმწიფო დაფინანსებაზე უარი თქვა



დანიის ტახტის მემკვიდრე პრინცის ფრედერიკისა და მისი მეუღლის მერი დონალდსონის უფროსმა შვილმა პრინცმა კრისტიანმა უარი თქვა სახელმწიფო დაფინანსებაზე.

სამეფო ოჯახის ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ მომავალმა მეფემ უარი თქვა სახელმწიფო უზრუნველყოფაზე, რომელიც მას ეკუთვნოდა 18 წლის ასაკის მიღწევის შემდეგ და უახლოეს ხანებში მთელი ყურადღების სწავლისთვის დათმობას აპირებს. პრინცის მიერ სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსების მიღებაზე ისევ იმსჯელებენ, როდესაც ის 21 წლის გახდება, ან თუ ქვეყანაში მონარქი შეიცვლება. ამ დროისთვის დანიის მონარქია პრინც კრისტიანის 83 წლის ბებია, დედოფალი მარგარეტ II.

სამეფო ოჯახის მიერ გამოქვეყნებულ ოფიციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, პრინცი კრისტიანი ოფიციალურ ღონისძიებებში შეზღუდულად მიიღებს მონაწილეობას.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

ერთი მეზობელი მეორეს ეძახის:

– სასწრაფოდ დახმარება გვჭირდება.

– რა ხდება?

– თალიკო ბებია ცუდადაა და თქვენ ხომ პროფესორი ხართ?!

– კი მაგრამ, მე არქეოლოგიის პროფესორი ვარ.

– არც ბებია თალიკოა 18 წლის...

●●●

თვითმფრინავში ერთ-ერთი მგზავრი თავს ცუდად გრძნობს და იძახის:

– ვაიმე, ცუდად ვარ, ახლა გული ამერევა.

მეზობლად მჯდომი ეუბნება:

– თქვენ თავს ზემოთ ღილაკს დააჭირეთ თითი!

– დავაჭირე. მერე?

– ახლა ბორტგამცილებელ გოგონასთან სინათლე აინთო.

– შენი დედაც... მე ცუდად ვარ, გული მერევა! იმ შობელძაღლს, რა, არ შეუძლია თვითონ აინთოს სინათლე?!

●●●

ერთი მეზობელი ქალი მეორეს ეკითხება:

– ფანჯარაზე ამდენი კაქტუსები რომ გიდგას ქოთნით, ალბათ იმისთვისაა, რომ მამაკაცები ვერ შემოძვრნენ, ხო?

– არა, ფანჯრიდან, რომ ვერ გამექცნენ...

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**



## მოდელი ჩვენებაზე ლაზარე გრიგორიადისის ტატუს მსგავსი მაკიაჟით გამოვიდა

დიზაინერ გიორგი ქებურიას უახლესი კოლექციის ჩვენებაზე მოდელი პოდიუმზე ლაზარე გრიგორიადისის ტატუს მსგავსი მაკიაჟით გამოვიდა.

ჩვენება დიზაინერმა „მერსედეს-ბენც ფეშენ ვიკ თბილისი 2023"-ის ფარგლებში მოაწყო.

## გიორგი სუხიტაშვილს გული ატკინეს



მომღერალი გიორგი სუხიტაშვილი ცდილობს, სამყარო უკეთესი გახადოს, თუმცა, პასუხად ზიზღს იღებს:

– გულდასაწყვეტია, როცა ცდილობ, უკეთესი გახადო სამყარო, ისე რამდენადაც შემიძლია, ჩემი მწირი მასშტაბიდან გამომდინარე და პასუხად იღებ ზიზღს.

ვიცი ყველა ის სავარაუდო სიტყვა, რითიც ეცდებით ჩემს ნუგეშს, მე ხომ სქელკანა ვარ, ვიტან და კიდევ უფრო ბევრს ავიტან, უბრალოდ, გთხოვთ, თქვენც ეცადეთ, რომ უკეთესი გახადოთ სამყარო თქვენ გარშემო.

ერთი ცხოვრება გვაქვს, ყველას ჩვენ ჩვენი და ეს ცხოვრება ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ჰო და ცუდად ნუ ვუკავშირდებით, დრო მალე გადის და გვიანი იქნება სინანული.

სიყვარულის ალტერნატივა უფრო დიდი სიყვარულია.

ვინც მეუბნებით, რომ „სამყაროს ვერ შეცვლი, სამყარო ჭრელია, სამყარო იმას გიბრუნებს, რასაც გასცემ" და ა.შ. ამ ადამიანებთან ერთი სათქმელი მაქვს: რა გგონიათ სამყარო? თქვენ გგონიათ, მე დიდ გადატრიალებას ვცდილობ ან მზე ამომყავს სხვა მხრიდან? არა! მე ვცდილობ, ვიყო სამართლიანი, გულწრფელი, გააზრებული და დაკვირვებული იქ, სადაც მხედავენ და სადამდეც გავწვდები.

თქვენ გგონიათ, რომ არაფრის შეცვლა არ შეგიძლიათ, ალბათ ამიტომ გაქვთ დაზეპირებული ვიღაცის ლოზუნგები, ფრაზები ან ამონარიდები მხატვრული პროზიდან. როდესაც თქვენგან ითხოვენ რაიმეს შეცვლას უკეთესობისკენ, თქვენ მზად გაქვთ ეს პასუხი და ირიდებთ ყოველგვარ პასუხისმგებლობას.

არა და მარტივია. კარგი რჩევა, გზაზე მოხუცის გადაყვანა, უანგარო გაცემა, კეთილი სიტყვა, მოფერება, განათლებისა და ცოდნის გაზიარება, ბუნების მოვლა და გაფრთხილება, ცხოველებზე ზრუნვა, მხოლოდ საკუთარზე არა, სწორ ადგილზე ხმის ამოღება, სუსტის დაცვა და ა.შ. აი, ეს და ასეთი ვითომ მარტივი და უბრალო რამეებია სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლის გზა.




## ინტეგრირებული თეატრის „აზდაკის ბაღის" სპექტაკლი არ დააფინანსეს

ინტეგრირებულმა თეატრმა „აზდაკის ბაღი" ნოდარ დუმბაძის „ჰელადოსი" საკუთარი სახსრებით დადგა, რადგან დაფინანსებაზე უარი მიიღო.

– ინტეგრირებული თეატრი „აზდაკის ბაღი" აგერ უკვე 8 წელია, სცენაზე დგას, აღსანიშნავი და საინტერესოა ის, რომ კონკრეტული სპექტაკლი დაფინანსების გარეშე შედგა. უამრავი პროექტის იდეალურად ჩაბარების შემდეგ აღნიშნული პროექტი არ დაფინანსდა. თეატრის დევიზიდან გამომდინარე „გაჩერება აკრძალულია" – შევძელით და გამოვუშვით სპექტაკლი, რომლის პრემიერაც გაიმართება 1 ივლისს, აკაკი ხორავას სახელობის მსახიობის სახლში. ბილეთის ღირებულება 15 ლარი. ადგილების რაოდენობა შეზღუდულია, ასე რომ, იჩქარეთ! გელოდებით პრემიერის საღამოზე, რომელიც დასამახსოვრებელი იქნება სავსე ემოციებითა და დამაფიქრებელი მომენტებით.

## ვალერიან ჯიქიას სკულპტურა თურქეთში დაიდგმება



ქართველი მოქანდაკის ვალერიან ჯიქიას სკულპტურა სახელწოდებით „გოგონა და ზღვა" თურქეთში, ეგეოსის ზღვაში დაიდგმება.

ნამუშევარი მოქანდაკემ სპეციალურად შექმნა პროექტისთვის, რომელიც ტურისტული მარშრუტის განვითარებას მოემსახურება.

ვალერიან ჯიქიას სკულპტურამ დიდი მოწონება დაიმსახურა.



## ლიკა მამაცაშვილმა ეროვნულ მუზეუმს სასამართლო მოუგო

კულტურის მინისტრის, თეა წულუკიანის რეპრესიულმა საკადრო პოლიტიკამ კიდევ ერთი მარცხი იწვნია თბილისის საქალაქო სასამართლოში.

?სასამართლომ უკანონოდ სცნო საქართველოს ეროვნული მუზეუმიდან კურატორ ლიკა მამაცაშვილის გათავისუფლების ბრძანება. საქართველოს ეროვნულ მუზეუმს მისთვის სახელფასო განაცდურისა და კომპენსაციის გადახდა დაეკისრა.

ლიკა მამაცაშვილის ინტერესს სასამართლოში მეცნიერების, განათლებისა და კულტურის პროფკავშირი და ადვოკატი დავით ომსარაშვილი იცავდნენ.

თეა წულუკიანის რეპრესიული პოლიტიკის შედეგად კულტურის სამინისტროს სსიპ-ებიდან ათეულობით ადამიანი გაათავისუფლეს. უმეტესობამ სასამართლოს მიმართა. უკანონოდ გათავისუფლებული ადამიანებისთვის სახელფასო განაცდურისა და კომპენსაციის ანაზღაურება საქართველოს ბიუჯეტს ასი ათასობით ლარი უჯდება. ლიკა მამაცაშვილი მინისტრ წულუკიანის რეპრესიული საკადრო პოლიტიკის შედეგად გათავისუფლებულ ათეულობით თანამშრომელთა შორის ერთ-ერთია. მათგან უმეტესობამ მიმართა სასამართლოს და დღესდღეობით 11 მათგანის საქმე გამარჯვებით დასრულდა.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. რომელიმე საქონლის, პროდუქტის შემოტანის აკრძალვა სახელმწიფოში; 2. რუსი მგოსანი; 3. დიდი ქრისტიანული დღესასწაული; 4. მართლმსაჯულების ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 5. ხორბლის ქართული ჯიში; 8. დიდი წვეულება; 9. ციხე-სიმაგრე ალგეთის ხეობაში; 12. დიდი თევზსაჭერი გემი; 13. ძვირფასი სარეწაო თევზი; 16. მარტვილის ძველი სახელწოდება; 17. კერძო მეწარმე სოფლად; 19. ესპანური ავიაკომპანია; 20. თეატრალური პრემია საქართველოში.

**თარაზულად:** 6. საერთაშორისო კატეგორიის ქართველი რაგბის მსაჯი; 7. უკრაინის მმართველთა ტიტული ძველად; 8. ბოშათა წინამძღოლი; 10. ხატვის ერთ-ერთი ჟანრი; 11. სანადირო თოფების წარმოების ერთ-ერთი ცენტრი გერმანიაში; 14. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 15. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური გერმანიაში; 18. უძველესი აკადემია კახეთში; 21. მაღალმთიანი კურორტი გურიაში; 22. შემთხვევით ჩავარდნილი შარი ბილიარდში; 23. ბუნებრივი ნაკრძალი ქვემო ქართლში; 24. ცნობილი ქართველი მელვინე.

**შეადგინა თ.გოგინაშვილმა**

